

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ სულთანაშვილი

ავადობის სტრუქტურისა და რისკის შეფასება ქართველ სტუდენტთა პოპულაციაში

დისერტაცია

წარმოდგენილია მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები:

პროფესორი შალვა პეტრიაშვილი

პროფესორი იამზე თაბორიძე

თბილისი

2023

სარჩევი

შესავალი 2

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა..... 7

თავი II

მასალა და მეთოდები..... 40

თავი III

საკუთარი კვლევის შედეგები

3.1.საკუთარი მასალის დახასიათება..... 45

3.2. სტუდენტთა ავადობის შემსწავლელი კითხვარის ვალიდაცია..... 62

3.3. სტუდენტთა ავადობის შეფასება სქესის მიხედვით ქართველ სტუდენტებში..... 71

3.4. ჯანმრთელობისათვის სარისკო ქცევებისა და ავადობის კავშირი აკადემიურ მოსწრებასთან 78

3.5.ცუდი აკადემიური მოსწრების პროგნოზი ჯანმრთელობისათვის სარისკო ქცევებისა და ავადობის გათვალისწინებით..... 87

3.6. სტუდენტობის დროს გამოვლენილ დაავადებების კავშირი სოციალურ-ეკონომიკურ და ქცევით ფაქტორებთან ქართველ სტუდენტებში 95

3.7. ქართველ სტუდენტთა ჯანმრთელობის თვითშეფასება 106

3.8. ავადობის პროგნოზი ქართველ სტუდენტებში..... 112

თავი IV

განხილვა 117

დასკვნები 127

პრაქტიკული რეკომენდაციები..... 130

ლიტერატურა 131

შესავალი

უნივერსიტეტის სტუდენტები მიეკუთვნებიან ავადობის მაღალი რისკის ჯგუფს, რადგან თანამედროვე ცხოვრების პირობებში სტუდენტებზე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში გავლენას ახდენს მთელი რიგი გარემო ფაქტორებისა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მათი ფიზიკურ, გონებრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. ამ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუდმივი გონებრივი, ფსიქოემოციური და ინფორმაციული სტრესი, მატერიალური პრობლემები და მუშაობის, დასვენებისა და კვების რეჟიმების ხშირი დარღვევა. კულტურის ზოგადი დონის დაქვეითება - მათ შორის სანიტარული და ჰიგიენური საშუალებების ჩათვლით, ხელს უწყობს თვითგანადგურების ქცევის გავრცელებას, როგორცაა მოწევა, ალკოჰოლი, ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური ნივთიერებები [106].

ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა და განათლება ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებია [28]. ხშირი ავადობა იწვევს სწავლის ეფექტურობის შემცირებას და შემდგომში პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას.

სტუდენტთა ჯანმრთელობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მიმდინარე პერიოდისთვის დამახასიათებელი რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში.

ავადობის და სიკვდილობის გლობალური რისკები დღეს უკავშირდება ძირითადად ცხოვრების წესს [122]. ჯანსაღი ცხოვრების წესი არის მომავალი ჯანმრთელობის, პროდუქტიულობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი პროგნოზული მახასიათებელი [36].

ქალი და მამაკაცი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შეფასებებით, ალკოჰოლის მოხმარების სიხშირით, სესიაზე მოხმარებული ალკოჰოლისა და დღეში მიღებული საკვების რაოდენობით, სექსუალური პარტნიორების საერთო რაოდენობით. განსხვავებულია ფიზიკური დატვირთვა, ექიმთან ყოველწლიური შემოწმება, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სკრინინგი და ჰიპერტენზიის სკრინინგი. საერთოდ, მამაკაცებს ახასიათებთ უფრო მეტი სარისკო ქცევა, ვიდრე ქალებს [26].

დღეისათვის ნაკლებად არის შესწავლილი ყოველდღიური საგანმანათლებლო საქმიანობის დროს სტუდენტთა ფიზიოლოგიური სტატუსი, ჯანმრთელობაზე მავნე ჩვევების გავლენა. სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი სტუდენტთა პრობლემებზე და მათ განმაპირობებელ ფაქტორებზე, ადასტურებს სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობას; ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ჩატარდეს კვლევა სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, როგორც სპეციალური სოციალური ჯგუფისა, რომელიც გაერთიანებულია გარკვეული ასაკის, კონკრეტული სამუშაო და ცხოვრების პირობების მიხედვით. ინტერესს იწვევს სტუდენტთა ავადობისა და აკადემიური მოსწრების შესწავლა გენდერული განსხვავების მიხედვით.

ძილისა და სიფხიზლის რეჟიმის დარღვევა ხელს უწყობს ემოციური დაძაბულობის ზრდას, ყურადღების დაქვეითებას და სტუდენტების როგორც ფსიქო-ემოციური, ასევე ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესებას და გავლენას ახდენს ძილის ხარისხზე [136]. ამასთან დაკავშირებით, სტუდენტებისთვის - განსაკუთრებით პირველი კურსის სტუდენტებისთვის სასწავლო დატვირთვის შედგენის უფრო დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობა განისაზღვრება ახალ საცხოვრებელ პირობებთან მათი ნაკლებად ადაპტაციისა, ძილის ხანგრძლივობისა და ხარისხის დაქვეითებასთან დაკავშირებული უარყოფითი ფაქტორების ჭარბი ზემოქმედების გამო [133].

სამედიცინო სტუდენტების ცხოვრების წესს ახასიათებდა ფიზიკური აქტივობის მკვეთრი დაქვეითება, ყოველდღიური რეჟიმის შეუსრულებლობა, არარაციონალური კვება, მოწევა, ალკოჰოლის მოხმარება, დაბალი სამედიცინო აქტივობა, რაც ხელი უწყობს ავადობის ზრდას, მის სტრუქტურაში საჭმლის მომწელებელი სისტემის, სუნთქვის, ნერვული სისტემის დაავადებების უპირატესი განვითარებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემთხვევების 85%-ში არსებობს რისკ-ფაქტორების გარკვეული კომბინაცია: მოწევა, დაბალი ფიზიკური აქტივობა, ჭარბი წონა, ალკოჰოლის მოხმარება და ა.შ. სტუდენტებს შორის არის ჯანსაღი ცხოვრების წესის და ჰიგიენური მოთხოვნების დარღვევის ტენდენცია. ჯანსაღი ცხოვრების წესის ელემენტების ფიზიოლოგიური მექანიზმების საფუძვლების ცოდნა სამედიცინო სტუდენტების მიერ, არ იძლევა მის სავალდებულო განხორციელების

გარანტიას [138]. საგანგაშოა დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სიმპტომების მაღალი გავრცელება უნივერსიტეტის სტუდენტებში, რაც აჩვენებს პირველადი და მეორადი პრევენციის ღონისძიებების აუცილებლობას ამ ჯგუფისთვის ადეკვატური და შესაბამისი დამხმარე სერვისების შემუშავებით[19].

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლის, მონიტორინგსა და ინფორმაციულ სისტემებზე დაფუძნებული პროგნოზირების სისტემის შექმნის აუცილებლობას.

კვლევის მიზანია ავადობის სტრუქტურის დადგენა საქართველოს უნივერსიტეტების, სტუდენტი ახალგაზრდობის ცხოვრების და ჯანმრთელობის სამედიცინო და სოციალური შესწავლის საფუძველზე და პროგნოზირების სისტემის შემუშავება.

ამოცანები:

1. ქართველ სტუდენტთა ავადობის სტრუქტურისა დადგენა;
2. ცხოვრების წესის და მანვე ჩვევების სიხშირის დადგენა ქართველ სტუდენტთა პოპულაციაში;
3. სტუდენტობის დროს გამოვლენილ დაავადებების კავშირის დადგენა სოციალურ-ეკონომიკურ და ქცევით ფაქტორებთან ქართველ სტუდენტებში;
4. ავადობის საგამოცდო ციკლთან კორელაციების განსაზღვრა;
5. ავადობის რისკის ფაქტორების დადგენა;
6. ცუდი აკადემიური მოსწრების რისკის ფაქტორების დადგენა ავადობისა და ჯანმრთელობისათვის სარისკო ქცევების გათვალისწინებით;
7. სტუდენტობის პერიოდში გამოვლენილ დაავადებათა პროგნოზირება ქართველ სტუდენტებში.

სამეცნიერო სიახლე

პირველად ქართველ სტუდენტთა პოპულაციაში დადგინდა:

- ქართველ სტუდენტთა ავადობის სტრუქტურა.
- კავშირი ჯანმრთელობის მდგომარეობას, სოციალურ-ეკონომიკურ და ქცევით ფაქტორებს შორის.
- ავადობის საგამოცდო ციკლთან კორელაციები.
- შრომისა და დასვენების, ცხოვრების ჯანსაღი წესის და მავნე ჩვევების სიხშირე
- ავადობის რისკის ფაქტორები.
- ცუდი აკადემიური მოსწრების რისკი ფაქტორები ავადობისა და ჯანმრთელობისათვის სარისკო ქცევების გათვალისწინებით.
- ავადობის პროგნოზი ქართველ სტუდენტთა პოპულაციაში.

პრაქტიკული ღირებულება

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს სტუდენტთა ავადობის სტრუქტურის დადგენას და შემდგომში პროფიაქტიკური ღონისძიების გატარებას, ავადობის რისკის ჯგუფის გამოყოფისა და დაავადებათა პროგნოზირებისა და პრევენციის საშუალებას.

სტუდენტი ახალგაზრდების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ავადობის კვლევის შედეგები შეიძლება გახდეს საინფორმაციო ბაზა და საფუძველი სტუდენტებისთვის ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროგრამების დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის.

პუბლიკაციები და აპრობაცია:

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო ნაშრომი რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში, მათ შორის 3 საერთაშორისო მიმოქცევაში მყოფ იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომთა ნუსხა:

1. Sultanishvili T, Khetsuriani R, Sakvarelidze I, Arabuli M, Petriashvili Sh. Morbidity assessment according to gender in georgian students. Georgian medical news. 2021;32(12): 91-96
2. Sultanishvili T, Petriashvili Sh, Taboridze I. Health Risk Behavior and Morbidity Among Georgian Students and Prognosis of Poor Academic Performance. East European Scientific Journal. 2022.1(77): 51-60.
3. Sultanishvili T, Khetsuriani R, Sakvarelidze I, Arabuli M, Abaishvili N, Petriashvili Sh. Socioworld. 2021; 7(1): 66-71.
4. სტუდენტთა ავადობის შემსწავლელი კითხვარის ვალიდაცია. სულთანშივილი თ, პეტრიაშვილი შ, არაბული მ, ჭლიკაძე ნ. თაბორიძე ი. გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნე, 2021; N9: 57-62.
5. სტუდენტობის პერიოდში გამოვლენილ დაავადებათა პროგნოზირება ქართველ სტუდენტებში. სულთანშივილი თ, ხეცურიანი რ, არაბული მ, წიკლაური მ, პეტრიაშვილი შ. სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. 2022; N6: 31-42

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი წარმოდგენილია 142 გვერდზე და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, საკუთარი კვლევის შედეგების 8 თავი, მიღებული შედეგების ანალიზი, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები. გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც მოიცავს 152 წყაროს. შედეგები ასახულია 20 დიაგრამასა და 19 ცხრილში.

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა

სტუდენტების ჯანმრთელობის პრობლემა სულ უფრო და უფრო იპყრობს პედაგოგებისა და ექიმების ყურადღებას. თანამედროვე სტუდენტების ცხოვრების სტილის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია შეზღუდული ფიზიკური აქტივობა, დიდი ინფორმაციული დატვირთვა, რაც უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმის ყველა სისტემაზე და იწვევს მისი კომპენსატორულ-ადაპტაციური რეაქციების შემცირებას. სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია არსებულ ადაპტაციურ რეზერვებთან. ორგანიზმის დამცავი ძალების დაქვეითება იწვევს სხვადასხვა დაავადების ჩამოყალიბებას. ასეთ პირობებში სტუდენტთა ორგანიზმის ფუნქციონირება შესაძლებლობის მიჯნაზე მიმდინარეობს და ხშირად ესაზღვრება პათოლოგიას [129].

მონაცემები მიუთითებენ სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზულ გადახრებზე უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. სწავლის მეორე წლისთვის დაავადებათა რიცხვი იზრდება 23%-ით, ხოლო მეოთხეზე - 43%-ით [144]. ზოგიერთი კვლევით, რესპონდენტებს შორის აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანები არ არიან. მომავალ ექიმებში ყველაზე გავრცელებული გადახრებია: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის და ნერვული სისტემის დაზიანება [139].

ჯანმრთელი ქცევის ერთ-ერთი ინდიკატორია პრევენციული ღონისძიებებისაკენ ადამიანის სწრაფვა. საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულების მიხედვით, პრევენციულ ჯანმრთელობას ძირითადად ასაკოვანი ადამიანები საჭიროებენ. ამ მხრივ, საინტერესოა, ახალგაზრდების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. ჯანმრთელი ქცევის შესწავლამ სტუდენტებში თვითადმინისტრირებადი კითხვარების მეშვეობით აჩვენა, რომ ჯანმრთელი ქცევა სტუდენტებში არც თუ ისე მყარია. რესპონდენტთა უმრავლესობა არ მიმართავს ექიმს

პრევენციის მიზნით, ხოლო პრევენციული ჯანმრთელობის მიმართ სტუდენტთა დაბალი მოტივაცია განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ახალგაზრდებში ავადობის დაბალი რისკი, ქვეყნის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური დონე, პირველადი ჯანდაცვის ნაკლები განვითარება, საზოგადოების მცირე ინტერესი პრევენციული ჯანმრთელობის მიმართ. დაბალია სტუდენტების ინფორმირებულობა ქვეყანაში მოქმედი სკრინინგ პროგრამების შესახებ [3].

ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა და განათლება ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებია [27]. დადგენილია ჯანმრთელობის ქვეყნისა და ინდიკატორების გავლენა უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიურ მიღწევებზე, მაგალითად, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ძილის უკმარისობა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა საზიანოა აკადემიური მიღწევებისთვის [105].

სტუდენტური ასაკი კონკურენციის ასაკია. მთელ მსოფლიოში მეცნიერულმა და ტექნოლოგიურმა წინსვლამ ადამიანი ძალიან მოტივირებული და მგრძობიარე გახადა სწავლის, პროფესიის, ცხოვრების სტილის, ურთიერთობების მიმართ და ა.შ. ამ უზარმაზარმა პროგრესმა გარკვეული პრობლემები წარმოშვა. დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის "სტრესი". თითოეულ ადამიანს აქვს უნიკალური ბუნება შესაძლებლობების, დამოკიდებულების, პიროვნული მახასიათებლებისა და ინტერესების თვალსაზრისით. ყველა სფეროში კონკურენციის გამო ახალგაზრდები განიცდიან სტრესის დიდ გავლენას. მაღალი აკადემიური მოსწრების სურვილი სტუდენტებში ქმნის იმდენად დიდ სტრესს, რომ ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი ძირითადი პოტენციალის გამოყენებას. აკადემიური სტრესი გამოწვეულია არა მხოლოდ მასწავლებლების, საზოგადოებისა და მშობლების მაღალი მოლოდინებით, არამედ მოსწავლის ოჯახის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო. სტუდენტის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამდენადაც, დღევანდელი თაობის საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე სტუდენტებს შორის ზოგადი ტენდენციაა თავიანთი ოჯახის ცხოვრების დონის ამალღების სურვილი. ამ დონის ასამალღებლად მათ უნდა მიიღონ კარგი სამუშაო ადგილი და, შესაბამისად, ისინი უფრო მეტად აცნობიერებენ კარიერის მნიშვნელობას, ვიდრე სტუდენტები დიდი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან. ასე რომ, აკადემიური სტრესის დონე მათ

შემთხვევაში მეტია, ვიდრე სხვა სტუდენტებში. ფსიქიკური ჯანმრთელობა არის შესაძლებლობა, დამაკმაყოფილებლად მოერგოს გარემოს სხვადასხვა ზემოქმედებას, და ფსიქიკური ჰიგიენა, როგორც საშუალება ამ კორექტირების უზრუნველსაყოფად. ამრიგად, ფსიქიკური ჯანმრთელობის ზემოაღნიშნული განმარტებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი ფსიქიკური ჯანმრთელობა სხვადასხვანაირად გამოიყენებოდა ფსიქოლოგების, ფსიქიატრების მიერ და გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორით, როგორცაა ინტელექტი, პიროვნება, განათლების დონე, აკადემიური მოსწრება და ფიზიკური ჯანმრთელობა. და ა.შ. ემოციურად ჯანსაღი პიროვნებები იღებენ საკუთარ თავს ისეთებს, როგორებიც არიან ყველა მათი სუსტი და ძლიერი მხარეებით. ისინი რჩებიან კონტაქტში რეალობასთან და შეუძლიათ გაუმკლავდნენ სტრესს და იმედგაცრუებას. ისინი ასევე დამოუკიდებლად მოქმედებენ გარე გავლენისგან და ავლენენ ნამდვილ ზრუნვას სხვა ადამიანების მიმართ. ადამიანს ენიჭება პოზიცია სოციალური კლასის იერარქიაში ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორცაა, შემოსავალი, პროფესია, სახლის მდებარეობა, წინაპრები, ჯგუფის წევრობა და განათლება [75].

რაც უფრო მაღალია შემოსავალი, მით უფრო მაღალია ადამიანის ჯანმრთელობაზე პრევენციული ზრუნვის დონე, რაც უფრო დაბალია მშობლის ოჯახის შემოსავალი, მით უფრო ხშირად აღინიშნება ჯანმრთელობის რეალური გაუარესება. ოჯახის ცხოვრების დონე პირდაპირ კავშირშია ავადობის სიხშირესთან: დაბალშემოსავლიან ოჯახებში დაავადებული სტუდენტები შეადგენენ მესამედს, მდიდარ ოჯახებში - მეხუთედზე ნაკლებს. სტუდენტების უმეტესობა არ მიდის ექიმებთან და ცდილობს თვითმკურნალობას; ან ექიმთან მიდის მხოლოდ მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში, ან სამედიცინო დახმარებას მიმართავენ, როცა თვითმკურნალობა უშედეგოა და ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება. გოგონები უფრო ყურადღებიანები არიან თავიანთი ჯანმრთელობის მიმართ და უფრო ხშირად მიმართავენ სამედიცინო დახმარებას, ვიდრე ბიჭები [149].

ჯანმრთელი ქცევა ქართველ სტუდენტებში არც თუ ისე მყარია. რესპონდენტთა უმრავლესობა არ მიმართავს ექიმს პრევენციის მიზნით [63].

ჯანსაღი ცხოვრების წესი მომავალი ჯანმრთელობის პროდუქტიულობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი პროგნოზული მახასიათებელია [37].

ცხოვრების წესი შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა რისკის შემცველ ქცევას, როგორცაა, ალკოჰოლის და/ან თამბაქოს მოხმარება, ფიზიკური უმოქმედობა, არაჯანსაღი დიეტა და სხვა [33,89].

დაავადებათა უმეტესობა მჭიდრო კავშირშია ჯანმრთელობის რისკის შემცველ ქცევასთან, რომელიც იყოფა ექვს კატეგორიად: ქცევა, რომელიც ხელს უწყობს უნებლიე და განზრახ დაზიანებებს; თამბაქოს გამოყენება; ალკოჰოლის და სხვა ნარკოტიკების მოხმარება; სექსუალური ქცევები; არაჯანსაღი დიეტური ქცევები და ფიზიკური უმოქმედობა [76]. ჯანმრთელობის რისკების დაძლევა შესაძლებელია ცხოვრების წესით, რომელიც მოიცავს რეგულარულ ფიზიკურ დატვირთვას, სწორ კვებას, არაჯანსაღი ქცევის აღმოფხვრას, რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას და კარგი ემოციური ჯანმრთელობის შენარჩუნებას [51]. გლობალური ტენდენციები მიუთითებს უფრო არაჯანსაღი ქცევისა და ცხოვრების წესისკენ წანაცვლებაზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა არის პროცესი, რომელიც დაკავშირებულია დიდ ფსიქო-ემოციურ სტრესთან, ჩვეული ყოველდღიური რუტინისა და ცხოვრების რიტმის ცვლილებასთან, რასაც ხშირად თან ახლავს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, სოციალური წრის ცვლილება და თავისუფალი დროის გადანაწილება ახალგაზრდობისა და ახალგაზრდა ასაკის ადამიანებისთვის. თანამედროვე პირველკურსელები შესწავლილი მასალის დიდი მოცულობის გამო აღმოჩნდებიან ახალ სოციალურ და ფსიქოფიზიოლოგიურ პირობებში, ასევე აქტიური საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის უჩვეულო პირობებში. ამ სოციალური ჯგუფის ცხოვრების წესი არის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი. ჯანსაღი ცხოვრების წესი დადებითად აისახება მოზარდის სხეულზე, მის პიროვნულ თვისებებზე და აკადემიურ მოსწრებაზე, ვინაიდან სწავლის პროდუქტიულობა და მოსწავლის ჯანმრთელობა ურთიერთდამოკიდებულია - რაც უფრო ძლიერია ჯანმრთელობა, მით უფრო ეფექტურია სასწავლო პროცესი [135].

ახალგაზრდების გადასვლა უნივერსიტეტის გარემოში წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას და ნაბიჯს პირადი დამოუკიდებლობისკენ და მშობლების პირდაპირი ზედამხედველობისგან განთავისუფლებისკენ [58, 108], რაც წარმოადგენს სტრესულ გამოცდილებას, რადგან ეს ახალგაზრდები უნდა მოერგონ

მათი ცხოვრების სტილის ცვლილებებს. ეს ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს აკადემიურ დატვირთვას, ახალ გარემო, ფინანსურ და სოციალური წნეხს [30].

კვლევები ასევე მიუთითებს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს უფრო მეტი სოციალური ზეწოლა აქვთ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მათ საშუალო სკოლის წლებთან შედარებით [55]. ჯანმრთელობაზე მოქმედებს: არასახარბიელო სოციალური მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილის ცუდი ეკოლოგიური პირობები, სოციალური და სამედიცინო დახმარების დაბალი ხელმისაწვდომობა და პრევენციული ღონისძიებების არარსებობა. პ. ბურდიეს კონცეფციის მიხედვით, არსებობს პირდაპირი კავშირი ინდივიდის სოციალურ ფენასა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის. ახალგაზრდის გარკვეულ სოციალურ კლასს მიკუთვნებულობის მაჩვენებელია მატერიალური შემოსავალი, განათლების დონე და პროფესიული სტატუსი [143].

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა არის უნივერსიტეტის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესების, უმაღლესი განათლების ჰუმანიზაციის საფუძველი, ხოლო თავად უსაფრთხოება მისი ხარისხობრივი მახასიათებლების განმსაზღვრელი ფაქტორია. სტუდენტების ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური უსაფრთხოების ფორმირების ინტეგრალურ სტრუქტურაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების მუდმივი გარდაქმნის უნარი. ეს გამოვლინებები ყველაზე წარმატებით ყალიბდება უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოში, რომელიც აკმაყოფილებს სოციალურ-პედაგოგიური პროცესის გარკვეულ მნიშვნელობებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების შემდგომ განვითარებაზე, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა [132].

დღის განმავლობაში სტუდენტი ასრულებს ხანგრძლივ და მძიმე გონებრივ სამუშაოს, რომელიც შერწყმულია ჰიპოკინეზიისა და ჰიპოდინამიის ფაქტორებთან. ისინი იწვევენ სხეულის სპეციფიკური ფუნქციური სტატუსის ფორმირებას, რომელიც ხასიათდება სხეულის ფუნქციური სისტემების აქტივობის დაქვეითებით [145].

ჯანსაღი ცხოვრების წესის კვლევამ რუს სტუდენტებში აჩვენა, რომ სტუდენტები აღიარებენ საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნების მნიშვნელობას, მაგრამ მისდევენ არაჯანსაღ ცხოვრების წესს და უფრო ხშირად უარს ამბობენ სპორტზე და დაავადებების პრევენციასა და ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე.

ხაზგასმულია, რომ სამედიცინო უნივერსიტეტების სტუდენტების ჯანსაღი ცხოვრების წესი უფრო გამონაკლისია, ვიდრე გავრცელებული პრაქტიკა [95].

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საჯარო პოლიტიკის შემქმნელები ჯანსაღი ჩვევების პოპულარიზაციისთვის იყენებენ ახალ ინსტრუმენტებს ქცევითი ეკონომიკის მეცნიერებებიდან და სოციალური ფსიქოლოგიიდან. თუმცა, მათ გამოყენებამდე უნდა გაანალიზდეს მოსახლეობის მიერ მიმღებლობის ხარისხი. იმის დასადგენად, არის თუ არა კავშირი უნივერსიტეტის სტუდენტების ცხოვრების წესსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის ხელშეწყობის ინსტრუმენტების მიღების ხარისხს შორის, ჩატარდა ჯვარედინი კვლევა 590 უნივერსიტეტის სტუდენტის მონაწილეობით ესპანეთის უნივერსიტეტებიდან (95% CI, $\alpha=5\%$) ონლაინ კითხვარის გამოყენებით. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტ ახალგაზრდობას ახასიათებთ არაადეკვატური დიეტა, ხილისა და ბოსტნეულის დეფიციტური მოხმარებით (მხოლოდ 27.8% მოიხმარს მათ დღეში რამდენჯერმე, რეკომენდებული დღიური რაოდენობაა 5 ცალი) და უსარგებლო საკვების, ალკოჰოლის დიდი მოხმარებით (68.81% და 63,39%, შესაბამისად, მოიხმარდა კვირაში 1-დან 2-ჯერ) და ხორცს (კვირაში 3-დან 4-ჯერ მოიხმარდა 46,61%). სოციო-დემოგრაფიული ცვლადების საკვებთან კორელაციით მნიშვნელოვანი შედეგები იქნა ნანახი. მამაკაცთა ჯგუფს, ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტებს, რომლებიც უფრო მეტად უჭერენ მხარს პოლიტიკურ მემარჯვენებს და მისდევენ რელიგიას, ახასიათებთ ყველაზე მავნე ჩვევები [24].

სტუდენტების 74,9% იწყებს საკუთარი ჯანმრთელობისადმი ყურადღების მიქცევას, მხოლოდ ჯანმრთელობის გაუარესების და დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, 3,61% - ახლობლების შეხსენებისას, გამოკითხულთა მხოლოდ 20,23% რეგულარულად აკონტროლებს თავის ჯანმრთელობას. ჯანსაღი ცხოვრების წესის წარმართვის სურვილს, სტუდენტების გამოკითხვების მიხედვით, ხელს უშლის დროის ნაკლებობა - 7,8%, ნებისყოფის ნაკლებობა - 28,98%, აუცილებელი პირობების არარსებობა - 22,68%, ფინანსური სირთულეები - 10,54% [147].

სასწავლო წლები არის დაუცველობის პერიოდი ძილის პრობლემებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ. მზარდია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ძილის ცუდი რეჟიმი დაკავშირებულია აკადემიურ ცხოვრებასთან და დაბალ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან. ჩატარდა ძილის ჩვევების მნიშვნელობის

შესწავლა და ძილის პრობლემების ასოციაციების დადგენა აკადემიური ცხოვრების ხარისხთან და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა განზომილებებთან (მაგ. შფოთვა, შფოთვა, თვითრეგულირება და გამძლეობა) კოლეჯის სტუდენტების დიდ რაოდენობაზე. HBSC/JUnP მონაცემთა ბაზა მოიცავდა 2991 კოლეჯის სტუდენტის კვლევის შედეგს ($n=2203$; 73.7% ქალი), 18-დან 35 წლამდე ასაკის (22.43 ± 3.83). მონაწილეთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები მოიცავდა სქესსა და ასაკს. გარდა ამისა, მონაწილეებს ეკითხებოდნენ ძილის ხანგრძლივობას, მათი ძილის ჩვევების მახასიათებლებს, აკადემიური ცხოვრების ხარისხს - კერძოდ, უნივერსიტეტში მოწყენილობის შეგრძნება, აკადემიური მუშაობისა და აკადემიური მოსწრების აღქმა და ფსიქიკური ჯანმრთელობა, კერძოდ, შფოთვა, ძილის თვითრეგულირება და გამძლეობა. შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების უმეტესობა აღნიშნავს ძილის ჩვევების საშუალო მნიშვნელობას ($M=4.41$; $SD=1.46$) და რომ მათ ღამით საშუალოდ 7 საათი სძინავთ. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი აღნიშნავდა, რომ ან განიცდის დაძინების სირთულეს, ან ავლენს უძილობის ნიშნებს (67.7%). ჩატარებულმა ანალიზებმა აჩვენა, რომ დაძინების სირთულე (უძილობა) დაკავშირებულია აკადემიური მოსწრების ცუდ/გონივრულ აღქმასთან, შფოთვის მაღალ დონესთან და თვითრეგულირებისა და გამძლეობის დაბალ დონეებთან, რაც საფრთხეს უქმნის კოლეჯის სტუდენტების ფსიქიკურ ჯანმრთელობას. თავის მხრივ, ეს მახასიათებლები ასევე დაკავშირებული იყო ძილის ცუდ ჩვევებთან [93].

ჯანსაღი ცხოვრების წესი, როგორც ადამიანის ფიზიკური და ფსიქო-ემოციური ჯანმრთელობის შენარჩუნების ინტეგრირებული მიდგომა, მოიცავს მთელ რიგ ასპექტებს. როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი და მნიშვნელოვანი ასპექტია ძილი, როგორც რეგულირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმი [148].

მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ დასაძინებლად ოპტიმალური დრო 22-23 საათია, ხოლო ძილის ხანგრძლივობა 7-9 საათი, თუმცა სამუშაო და დასვენების პირობების ცვლილების გამო, ძილის ჰიგიენას სტუდენტები იშვიათად იცავენ. სამედიცინო სტუდენტების დაახლოებით 75.0% 23:00 საათზე გვიან იძინებს. სტუდენტების დაახლოებით 95.0%-ს არ აქვს ღამის ძილის მკაფიო განრიგი, საიდანაც 40.0%-ზე მეტს სძინავს 6 საათზე ნაკლებს დღეში, რაც უარყოფითად აისახება მათ ფიზიკურ და

ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და შესრულებაზე - შემცირებულია სმენითი მახსიერება და ტოლერანტობა ფიზიკური და გონებრივი სტრესის მიმართ. ძილის ნაკლებობისას გროვდება როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური დადლილობა, რაც თავის მხრივ ამცირებს კონცენტრაციას და ყურადღების და აღქმის სტაბილურობას, ასევე ზრდის სტუდენტების გაღიზიანებას და მგრძობელობას სტრესული სიტუაციების მიმართ, რამაც მომავალში შეიძლება გამოიწვიოს შფოთვა-დეპრესიის განვითარება. ამგვარად, კოგნიტურ-აფექტური ქვესკალის მიხედვით სიმპტომების კრიტიკული და გამოხატული დონე აქვს გოგონების 26.0%-ს და ვაჟი სტუდენტების 16.0%-ს, ხოლო სომატიზაციის ქვესკალის მიხედვით გოგონებში იგივე მაჩვენებელია 4.0% და ბიჭებში 4.0%, რაც მიუთითებს კოგნიტური ფუნქციების ცვლილებებზე და არა ფსიქოსომატური დაავადებების განვითარებაზე [132, 147].

უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩვეულებრივზე ნაკლები სძინავთ [83,10] ახალი სოციალური გარემო, დატვირთული განრიგი, საძილე გარემოს ცვლილება, ღამით ხმაურის შეგრძნება და ღამის წვეულებებში მონაწილეობა ცვლის ძილის ხარისხს და შედეგად იწვევს აკადემიურ წარუმატებლობას [39,82].

სტუდენტების 61,5% იძინებს 24:00 საათამდე, სტუდენტების 78,8%-ს უჭირს დილით ადგომა, ხოლო 61,5% შემთხვევაში ისინი საკმარისად არიან დამოკიდებული მალვიდარაზე, რაც მეტყველებს ძილის ცუდ ხარისხზე ან მის არადამაკმაყოფილებელ მოთხოვნილებაზე [134].

იმის გამო, რომ ძილს აქვს ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში გაჩნდა ცირკადული რითმების დარღვევების მონიტორინგი. ჩატარდა პოლონელ სტუდენტებს შორის ძილის დარღვევების გავრცელების შეფასება (მათ შორის ცხოვრების ხარისხის (QOL) და ნარკოტიკების მოხმარების). კვლევამ ასევე გამოიკვლია კავშირი ძილს, QoL-სა და ნარკოტიკების მოხმარებას შორის. კვლევა ჩატარდა 2016-2021 წლებში თვითადმინისტრირებადი სოციოდემოგრაფიული კითხვარის, ასევე სტანდარტიზებული ფსიქომეტრიული ინსტრუმენტების საფუძველზე: Athens Insomnia Scale (AIS), Epworth Sleepiness Scale (ESS) და Manchester Short Assessment of life of quality (MANSA). კვლევაში მიიღო მონაწილეობა სულ 14844 სტუდენტმა. უმრავლესობა იყო ქალი (80.7%), რომელთაგან 3425 (23.1%) იყო სამედიცინო სტუდენტი, ძირითადად სამედიცინო და სტომატოლოგიურ

ფაკულტეტებიდან - 1884 (57.2%). COVID-19-ის პანდემიამდე შეგროვდა გამოკითხვების 52.1%; გამოკითხულთა 54.1%-ს აღენიშნებოდა უძილობა, როგორც ეს AIS-ის ქულებიდან ჩანს, ხოლო 26.1%-ს აღენიშნებოდა ძილიანობა დღის განმავლობაში. კოლეჯის პირველი კურსის ქალი სტუდენტები, უფრო ხშირად განიცდიდნენ ძილის დარღვევას. ნარკოტიკების მოხმარება ფართოდ იყო გავრცელებული პოლონელ სტუდენტებში, რაც დაკავშირებულია ძილის შეფასების შედეგებთან და QoL-თან. დასასრულს, ძილის დარღვევა პოლონელ სტუდენტებს შორის მნიშვნელოვანი კლინიკური პრობლემაა. მდებარეობითი სქესის და უმცროსი სტუდენტების წლები უფრო მიდრეკილია ძილის ნაკლებობისკენ [17].

უნივერსიტეტის სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის ძილის ცუდ ხარისხს. აღქმული სტრესის დონე, დეპრესიისა და შფოთვის სიმპტომები სარწმუნოდ იყო დაკავშირებული ძილის ხარისხთან. ჯანმრთელობის ხელშეწყობა და სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამები ხაზს უსვამს ძილისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობას [65].

სტუდენტების ნახევარს (50.1%; 95% ნდობის ინტერვალი [CI], 45.7-54.5%) ჰქონდა ძილის ცუდი ხარისხი, უმცირესობა (5.7%) იღებდა ძილის წამლებს კვირაში ერთხელ ან ორჯერ მაინც. დაახლოებით ერთ მეოთხედს (24.4%; 95% CI, 21.7-27.1%) ჰქონდა ფსიქოლოგიური დისტრესი. დემოგრაფიულ ფაქტორებს შორის, კვლევის წელი ($\chi^2=13.80$ [$P<.01$]) მნიშვნელოვანი ასოცირდება ძილის ცუდ ხარისხთან. ფსიქოლოგიური დისტრესი და დეპრესიისა და შფოთვის სიმპტომები ასევე მნიშვნელოვნად ასოცირდება ცუდი ძილის ხარისხთან. სწავლის წელი, ფსიქოლოგიური დისტრესი და შფოთვის სიმპტომები იყო სტუდენტების ძილის ხარისხის მნიშვნელოვანი პრედიქტორები. ფსიქოლოგიურ დისტრესსა და ძილის ხარისხს შორის ძლიერი კავშირი კიდევ უფრო უსვამს ხაზს ჯანსაღი ქცევის ჩვევების პროპაგანდირების სარგებელს, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს ოპტიმალური ფსიქიკური ჯანმრთელობა და ძილის ხარისხი ბაკალავრიატის სტუდენტებში [103,106].

იზრდება უნივერსიტეტის იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებსაც აქვთ ცუდი ძილი და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პრობლემები. კერძოდ, პრობლემები უფრო მწვავედ დგას ბაკალავრიატის ბოლო კურსის სტუდენტებს შორის, რადგან

ისინი განიცდიან გარდამავალ პერიოდს საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან სამუშაო ადგილზე. თუმცა, არსებული კვლევები იშვიათად იკვლევდნენ უნივერსიტეტის ბოლო კურსის სტუდენტების ძილის ხარისხს და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. ძილის ხარისხის როლის უკეთ გასაგებად ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაში, გამოიკვლიეს კავშირი ძილის სხვადასხვა ხარისხსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას შორის. ჩინეთში 2495 სრულ განაკვეთზე ბოლო კურსის სტუდენტის ჯვარედინი გამოკითხვის საფუძველზე, მრავალცვლადი ლოგისტიკური რეგრესიის გამოყენებით ძილის ხარისხსა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის კავშირის შესაფასებლად სოციოდემოგრაფიული ფაქტორების კონტროლით, როგორცაა ასაკი, სქესი, განათლება, ქორწინება ან ურთიერთობის მდგომარეობა, საყოფაცხოვრებო პირობები, დაბადების ადგილი, სასწავლო სუბიექტები და ა.შ. კვლევის შედეგების მიხედვით, დადგინდა ძლიერი კავშირი ძილის ხარისხსა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის. ნორმალური ძილის ხარისხი დაკავშირებულია ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაღალ დონესთან. ამის საპირისპიროდ, ცუდი ძილის ხარისხი დაკავშირებულია ნეგატიური ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაღალ დონესთან. კოვარიაციებს შორის ასაკი, სქესი და განათლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე [126].

კონტინენტური ჩინეთის უნივერსიტეტის სტუდენტების კვლევამ აჩვენა, რომ 413 სტუდენტიდან 41,4%-ს ჰქონდა ცუდი ძილის ხარისხი. სქესს, აკადემიურ სტრესს, ფსიქოლოგიურ სტატუსს, კარგ ფიზიკურ მდგომარეობას და ძილის ჰიგიენას მნიშვნელოვანი პირდაპირი გავლენა ჰქონდა ძილის ხარისხზე [6].

ასოციაციები სოციალურ ურთიერთობებსა და ძილის სტატუსს შორის გაანალიზებული იყო რეგრესიის მოდელების გამოყენებით პოტენციური ფაქტორების კორექტირების შემდეგ. მამაკაცებს უფრო კარგად სძინავთ, ვიდრე ქალებს. დაბალი სოციალური სტრესი, სტრესის უკეთესი მართვა და კარგი სოციალური მხარდაჭერა იყო დაკავშირებული ძილის უკეთეს სტატუსთან, ხოლო სტრესი ან მხარდაჭერა მეგობრების, ოჯახის წევრებისა და თანაკლასელებისგან - ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო ძილის ცვლადებთან. მაშინ როცა მხოლოდ სუსტი ასოციაციები გამოვლინდა მეგობრების რაოდენობასა და ძილს შორის. შედეგები მსგავსი იყო მამაკაცებსა და ქალებში [56].

ფსიქოსოციალური სტრესი, მწვავე ან ქრონიკული, ასოცირდება სისტემური ანთების მომატებულ დონესთან. არასაკმარისი ძილი, განსაკუთრებით ძილის დარღვევა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ანთებითი აქტივობის უფრო მაღალ დონესთან. რამდენიმე კონტექსტში, სტრესისა და არასაკმარისი ძილის ასოციაცია ანთებასთან ქალებში უფრო ძლიერია, ვიდრე მამაკაცებში. თუმცა, ეს სიფრთხილით უნდა იქნას განმარტებული. სტრესი და ცუდი ძილი ხშირად პროგნოზირებს სისტემური ანთების ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული მტკიცებულება, რომ ეს ასოციაციები უფრო ძლიერია ქალებში, დასკვნები ძირითადად შერეულია და სამომავლო კვლევებში სქესობრივი განსხვავებების უფრო სისტემატური გამოკვლევები გამართლებულია [29].

სხვა მონაცემებით, სამუშაო დღეებში დაძინების საშუალო დრო იყო 23,5 საათი და მეტი ყველა გამოკითხულ კურსზე, პირველ კურსელების შემთხვევაში გამოვლინდა თითქმის 60 წუთით უფრო გვიანი დაძინების დრო უფროსკურსელებთან შედარებით, რაც დაკავშირებული იყო დიდ სასწავლო დატვირთვასთან და საშინაო დავალების შესრულებისათვის დახარჯულ დიდ დროსთან [138].

ძილის დარღვევა საგრძნობლად უფრო ხშირი იყო პირველ კურსელ სტუდენტებში და გამოწვეული იყო უნივერსიტეტში სწავლასთან ადაპტაციის სირთულეებით; ზოგჯერ ძილის დარღვევა დაკავშირებულია მიღებული ინფორმაციის ათვისებასთან და ძლიერ ძილიანობასთან დღის განმავლობაში. მშობლებთან ერთად ცხოვრება დაკავშირებული იყო ღამის გაღვიძებასთან და ძილის ხარისხის დაქვეითებასთან. ზოგადად, ძილის დარღვევა ბევრად უფრო ხშირად გამოვლინდა უმცროს სტუდენტებში (I–III კურსი), მაქსიმალური გავრცელებით პირველკურსელებში და მინიმალურად - მეექვსე კურსელებში, დარღვევები მით უფრო ხშირი იყო, რაც უფრო გვიან წვებოდნენ სტუდენტები დასაძინებლად, დარღვეული ჰქონდათ ძილისა და სიფხიზლის რეჟიმი, ჰქონდა რაიმე პრობლემები, მათ შორის სწავლის სირთულეები, ან სწრაფად ვერ იძინებდნენ გარე ჩარევის ან ხმაურის გამო. ძილის დარღვევის შემთხვევების საერთო რაოდენობა დამოკიდებული იყო მსგავს მიზეზებზე, ასევე მშობლებთან ცხოვრებაზე [133].

აღქმული ძილის პრობლემები ასოცირებს სტრესთან. ($p < 0.01$, $OR = 0.289$, $C.I. - 0.172 - 0.487$) და დილით გაღვიძების დრო ($p < 0.05$, $OR = 0.549$, $C.I. - 0.304 - 0.993$) [123].

ძილის მსუბუქი, ზომიერი და მძიმე პრობლემების მქონე სტუდენტები იყო 2.50-ჯერ უფრო მეტად არიან დეპრესიულები, ვიდრე ძილის პრობლემების გარეშე (95% CI: 1.61-3.88), 3.34-ჯერ (95% CI: 2.18-5.11) და 3.66-ჯერ (95% CI: 1.93 -6.94) [53].

მზარდია კვლევები, რომლებიც აკავშირებენ ციფრული მედიის გადაჭარბებულ გამოყენებას ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ნევროლოგიურ უარყოფით შედეგებთან. სულ უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ მობილური მოწყობილობების გამოყენებაზე და ვარაუდობენ, რომ ხანგრძლივობა, შინაარსი, დაბინდების შემდეგ გამოყენება, მედიის ტიპი და მოწყობილობების რაოდენობა არის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ეკრანთან დაკავშირებული დროის ეფექტებს. ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზემოქმედება დაკავშირებულია: ცუდ ძილთან და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკ ფაქტორებთან, როგორცაა მაღალი წნევა, სიმსუქნე, დაბალი HDL ქოლესტერინი, სტრესის ცუდი რეგულირება (მაღალი სიმპათიკური აგზნება და კორტიზოლის დისრეგულაცია) და ინსულინრეზისტენტობა. სხვა შედეგები მოიცავს მხედველობის დაქვეითებას და ძვლის სიმკვრივის შემცირებას. ფსიქოლოგიური ეფექტები დაკავშირებულია ცუდ ძილთან. დეპრესიის სიმპტომები და სუიციდისკენ მიდრეკილება დაკავშირებულია ეკრანთან გატარებული დროით გამოწვეულ ცუდ ძილთან, ციფრული მოწყობილობის დამის გამოყენებასთან და მობილურ ტელეფონზე დამოკიდებულებასთან. ქცევა დაკავშირებული იყო ძილის პრობლემებთან, საერთო ეკრანთან გატარებულ დროსთან და ძალადობრივ და სწრაფ კონტენტთან, რომელიც ააქტიურებს დოფამინის გამოყოფას. ძალადობრივი შინაარსის ინფორმაციის ადრეული და ხანგრძლივი ზემოქმედება ასევე დაკავშირებულია ანტისოციალური ქცევის რისკთან და პროსოციალური ქცევის დაქვეითებასთან. ფსიქონევროლოგიური ეფექტები: ეკრანთან ხანგრძლივი დროით მიჯაჭვულობა ამცირებს სოციალურ დაძლევას და გულისხმობს ქცევას, რომელიც წააგავს ნივთიერებებზე დამოკიდებულებას. ტვინის სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია კოგნიტურ კონტროლთან და ემოციურ რეგულაციასთან, ასოცირდება ციფრული მედიის მიმართ დამოკიდებულების ქცევასთან. ბავშვებისა და მოზარდების მიერ ციფრული მედიის გადაჭარბებული გამოყენება გვევლინება მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს ფსიქოფიზიოლოგიური მდგრადობის ფორმირება [68].

მნიშვნელოვანია სტუდენტების ცხოვრების სტილის სხვადასხვა კომპონენტი; პირველ რიგში კვების ორგანიზება. არსებობს მზარდი მტკიცებულებები, რომლებიც აკავშირებენ საკვების მოხმარებას ზრდასრული ადამიანების ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასთან. დიეტის ხარისხის ანალიზმა უნივერსიტეტის სტუდენტთა პოპულაციაში და მისი კავშირის შეფასებამ შფოთვის, სტრესის, დეპრესიისა და უძილობის გავრცელებასთან აჩვენა, რომ არაჯანსაღი კვების გავრცელება შეადგენდა 82,3%-ს, ამასთან უფრო მაღალი იყო ქალებში მამაკაცებთან შედარებით (84,8% და 76,4%, შესაბამისად) [92]. არაჯანსაღი კვება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული შფოთვის, დეპრესიისა და სტრესის გავრცელებასთან. ტკბილეულის გადაჭარბებული მიღება და რძის პროდუქტების ნაკლებობა ასოცირდებოდა ფსიქოლოგიური და ძილის დარღვევის გავრცელებასთან [20,78,7].

საკვების სხვადასხვა ჯგუფის მოხმარების სიხშირე განსხვავდებოდა უნივერსიტეტისა და სქესის მიხედვით, ისევე როგორც დეპრესიის სიმპტომები და აღქმული სტრესი. მულტიფაქტორულმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ "არაჯანსაღი" საკვების (მაგ. ტკბილეული, ნამცხვრები, საჭმლის, სწრაფი კვება) მოხმარება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული აღქმულ სტრესთან (მხოლოდ ქალებში) და დეპრესიულ სიმპტომებთან (როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში). პირიქით, "ჯანსაღი" საკვების მოხმარება (მაგ. ახალი ხილი, სალათები, მოხარშული ბოსტნეული) სარწმუნო უარყოფით კორელაციაში იყო ორივე სქესის სტუდენტების მიერ სტრესისა და დეპრესიის სიმპტომების აღქმასთან. აღინიშნა სარწმუნო უარყოფითი კორელაცია თევზის/ზღვის პროდუქტების მოხმარებასა და დეპრესიის სიმპტომებს შორის მხოლოდ მამაკაცებში. მამაკაცებისთვის და ქალებისთვის, ლიმონათის/გამაგრებელი სასმელების, ხორცის/ძეხვის პროდუქტების, რძის/რძის პროდუქტების და მარცვლეულის მოხმარება არ იყო დაკავშირებული არც სტრესთან და არც დეპრესიულ სიმპტომებთან. დადასტურდა ასოციაცია "არაჯანსაღი" საკვების მოხმარებასა და დეპრესიის სიმპტომებს შორის, ასევე აღქმულ სტრესთან მამაკაცებსა და ქალებში, ისევე როგორც ასოციაცია "ჯანსაღი" საკვების მოხმარებასა და დეპრესიის დაბალ სიმპტომებს შორის და აღქმულ სტრესს შორის დიდი ბრიტანეთის სტუდენტებს შორის [33,71,90].

უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის კვებითი პრობლემები ხშირია და ასოცირდება აკადემიურ მოსწრებასთან [119].

შედეგებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტების 13.9% შემთხვევაში იყო კვებითი აშლილობის რისკი, რომელიც უმეტესწილად აღინიშნება სტუდენტებში, რომლებიც ცდილობდნენ წონის დაკლებას და ჰქონდათ პოსტრავმული სტრესული აშლილობა [25].

მნიშვნელოვანი იყო კავშირი აკადემიურ მოსწრებასა და კვების ტიპს შორის [117].

მიზანშეწონილია უნივერსიტეტში იმ მინიმალური პირობების შექმნა, რომლებიც სტუდენტების ჯანსაღ კვებას შეუწყობს ხელს. ამ მხრივ, სასურველია ჯანსაღი კვებისობიექტების შექმნა უნივერსიტეტებში [2].

სავარაუდოდ, უნივერსიტეტის პერიოდში ჩამოყალიბებული ახალი ქცევა და ცხოვრების სტილი, გაგრძელდება ზრდასრულ ასაკშიც [57]. სტუდენტებში სოციალური ზეწოლა გავლენას ახდენს მათ ახალ სოციალურ ჯგუფებში ინტეგრაციის დროს. ისინი უნდა მოერგონ ახალ და მისაღებ ქცევას, ხშირად ისეთ გარემოში, სადაც ინტოქსიკაციური ნივთიერებების გამოყენება კულტურულად მისაღებია [44].

ომანში სამი უნივერსიტეტიდან კროსსექციურ კვლევაში მონაწილეობდა 401 სტუდენტი (პროპორციული შემთხვევითი შერჩევით). მოწვევის პრევალენტობა იყო 9.0%. გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებები სქესის, საცხოვრებელი ადგილის, უნივერსიტეტში გატარებული წლების, მწვეველი ოჯახის წევრების მიხედვით [9].

უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ალკოჰოლის ჭარბი გამოყენება ბევრ პრობლემას წარმოადგენს კამპუსებში და შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის დაავადება, ნერვული სისტემის დაზიანება და კიბოს გაზრდილი რისკი [40]. ჯანმრთელობის რისკებზე მეტად უნივერსიტეტებში ალკოჰოლის მოხმარება ასევე ხელს უწყობს ისეთ პრობლემებს, როგორცაა სტუდენტების მიერ ძალადობრივი ქცევის ჩადენა, ქონების დაზიანება და ლექციების გაცდენა. კვლევის თანახმად, უშუალო კორელაციაა ალკოჰოლის დიდი რაოდენობის მოხმარებასა და აკადემიური მოსწრების შემცირებას შორის [21].

მარიხუანას მოხმარება სულ უფრო პოპულარული ხდება, რადგან სულ უფრო მეტი სახელმწიფო იღებს კანონმდებლობას კანაფის და კანაფის წარმოშობის

პროდუქტების ლეგალიზების მიზნით რეკრეაციული და/ან სამედიცინო მიზნებისთვის. კანაფის ფართო გამოყენების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გვესმოდეს კანაფის მოხმარებასთან დაკავშირებული ნერვული შედეგები. ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის კვლევების მტკიცებულებები ადასტურებენ ტვინის ფუნქციის მკვეთრ და ნარჩენ ცვლილებებს სხვადასხვა შემეცნებით დომენზე: აღმასრულებელი ფუნქცია, ყურადღება და სამუშაო მეხსიერება, მეხსიერება, საავტომობილო უნარები, შეცდომების მონიტორინგი და აფექტური დამუშავება. ნათელია, რომ კანაფი გავლენას ახდენს ტვინის მუშაობაზე [99].

კანაფის რეგულარული მოხმარება იწვევს მხედველობის დაქვეითებას ადამიანის ბადურის ნეიროტრანსმისიაზე ზემოქმედებით [96]. კანაფი არის ყველაზე ფართოდ მოხმარებული არალეგალური ნარკოტიკი მთელ მსოფლიოში. ვარაუდობენ, რომ კანაფმა შეიძლება გამოიწვიოს ბუნდოვანი ხედვა კითხვის დროს. მნიშვნელოვანია კანაფის მოწევის მწვავე ეფექტების ობიექტურად შეფასება თვალის აკომოდაციის დინამიკაზე. ასევე გაანალიზებული იყო სხვა ფაქტორების გავლენა, ისევე როგორც პიროვნული მახასიათებლები. კანაფის გამოყენებამ შეიძლება შეცვალოს აკომოდაციის პროცესი, ასევე შემდგომი კვლევები უნდა ჩატარდეს ყურადღების დეფიციტის როლის შესასწავლად. კვლევის მიხედვით, კანაფის გამოყენებამ შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულ ყოველდღიურ აქტივობებზე, რომლებიც დამოკიდებულია ზუსტ ადაპტაციურ ფუნქციაზე [86].

ვიზუალური ფუნქციის შეფასება ჩატარდა საწყის სესიაზე, ასევე კანაფის მოწევის შემდეგ. შეაფასეს სტატისტიკური მხედველობის სიმახვილე, კონტრასტის მგრძობელობა, სტერეო სიმახვილე, ადაპტაციური რეაქცია, ღამის ხედვის დარღვევა და გუგის ზომა. მონაწილეები ასევე დაიყვინნენ ორ ჯგუფად იმის მიხედვით, აღიქვამდნენ თუ არა მათ მხედველობას გაუარესებულად კანაფის მოწევის შემდეგ. გამოყენებული იქნა ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზი, რათა დაედგინათ, თუ რომელ ვიზუალურ ტესტს შეუძლია საუკეთესოდ განსაზღვროს მხედველობის ეფექტების თვითშეფასება. კვლევამ აჩვენა, რომ კანაფის მოწევას აქვს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ყველა გაანალიზებულ ვიზუალურ პარამეტრზე ($p < 0.05$). ვიზუალური ხარისხის შედეგებმა აჩვენა, რომ შერჩევის დაახლოებით ორი მესამედი

ფიქრობს, რომ კანაფის მოწევა აზიანებს მათ მხედველობას. კონტრასტული მგრძნობელობა, კონკრეტულად სივრცითი სიხშირისთვის 18 cpd, იდენტიფიცირებული იყო, როგორც ერთადერთი ვიზუალური პარამეტრი, რომელიც მნიშვნელოვნად ასოცირდება თვითშეფასებულ ვიზუალურ ხარისხთან (შანსების თანაფარდობა: 1.135; $p = 0.040$). კანაფის მოწევა მხედველობის ფუნქციაზე უარყოფით გავლენას ახდენს. მხედველობის ხარისხი კანაფის მოწევის შემდეგ შეიძლება დაკავშირებული იყოს კონტრასტული მგრძნობელობის დაქვეითებასთან [86].

ექსპერიმენტში 10 მგ-ის შემცველი კანაფის ინჰალაციამ წარმოქმნა წამლის დისკრიმინაციული ეფექტი და კოგნიტური ფუნქციის მცირე დაქვეითება. 25 მგ დოზამ გამოიწვია წამლის მნიშვნელოვანი ეფექტები, გაიზარდა გვერდითი ეფექტების სიხშირე და გამოხატული კოგნიტური და ფსიქომოტორული უნარის დაქვეითება (მაგ., მნიშვნელოვანი დაქვეითება დავალების შესრულება პლაცებოსთან შედარებით). წამლის რამდენიმე სუბიექტური ეფექტი და შემჩნეული კოგნიტური და ფსიქომოტორული დარღვევები გაგრძელდა საშუალოდ 6 საათამდე. კანაფის ინჰალაციამ ან მოწევამ წარმოქმნა წამლის დოზაზე დამოკიდებული ეფექტი, რომელიც უფრო ძლიერი იყო ინჰალაციისას [107].

რეტროსპექტულმა ნეიროვიზუალიზაციამ გამოავლინა კავშირი კანაფის ადრეულ დაწყებასა და მოგვიანებით ნეიროკოგნიტურ დაქვეითებას შორის [111].

ობსერვაციულმა კვლევებმა კანაფის მოხმარება დაუკავშირა ნეგატიურ შედეგებს, მათ შორის ფსიქიატრიულ სიმპტომებს, კოგნიტურ დაქვეითებას და საგანმანათლებლო და პროფესიულ მიღწევებს. ეს ასოციაციები განსაკუთრებით ძლიერია, როდესაც კანაფის მოხმარება ხდება მოზარდობის ასაკში. გამოიკვლიეს კავშირი რეტროსპექტულად შეფასებულ მოზარდებში კანაფის მოხმარებასა და ახალგაზრდებში მოზარდთა შედეგებს შორის (ფსიქიატრიული, შემეცნებითი და სოციოეკონომიკური) ტყუპების სამ გრძივი კვლევაში ($n = 3,762$). ტყუპებმა, რომლებიც მოზარდობაში კანაფის კუმულაციური მოხმარების შესახებ იტყობინებიან, აღნიშნეს ფსიქოპათოლოგიის უფრო მაღალი დონე და ასევე უფრო ცუდი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ახალგაზრდობაში. თუმცა, კანაფის მოხმარება დაკავშირებული დარჩა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან (მაგ.,

განათლების მიღწევებთან, პროფესიულ სტატუსთან და შემოსავალთან). მონოზიგოტური ტყუპების კონტროლირებად კვლევებში, რომლებიც სრულად ითვალისწინებენ საერთო გენეტიკურ და გარემოს განსხვავებულობას, გამოავლინა საშუალო ქულისა და აკადემიური მოტივაციის შემცირება, ასევე იზრდება აკადემიური პრობლემური ქცევა და სკოლის დისციპლინური პრობლემები. ამრიგად, მოზარდობის ასაკში კანაფის გამოყენებას აქვს პოტენციურად მიზეზობრივი, მანვე ზეგავლენა მოზარდების აკადემიურ ფუნქციონირებაზე და ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე, რომლებიც მიუთითებენ ძლიერ, მიზეზობრივ გავლენას ზრდასრულთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ან კოგნიტურ უნარზე [101].

მოზარდებში კანაფის მოხმარებასთან დაკავშირებული შემფოთება მხარდაჭერილია კვლევის სამი ნაკადით. პირველი, ფართომასშტაბიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოზარდების მიერ მისი გამოყენება დაკავშირებულია ბევრ ნეგატიურ შედეგთან, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან [104], ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებასთან [5], კოგნიტური უნარების დაქვეითებასთან [47], სოციალურ-ეკონომიკური მიღწევების შემცირებასთან [6]. კვლევების უმეტესობა ცხადყოფს, რომ ეს ასოციაციები უფრო მაღალია, რაც უფრო ადრე იწყება კანაფის გამოყენება. მეორე, ნეიროვიზუალიზაციის კვლევებმა გამოავლინა კავშირი კანაფის ქრონიკულ მოხმარებასა და ტვინის აქტივობის ხანგრძლივ ცვლილებებს შორის ემოციების დამუშავებაზე პასუხისმგებელ სფეროებში (მაგ., ვენტრალური სტრიატუმი და ამიგდალა), რამაც ზოგიერთის ვარაუდით, შესაძლოა ხელი შეუწყოს კომპულსიურ ქცევას და უფრო მეტ ნეგატიურ ემოციას შორის [124]. მოზარდის ზემოქმედებამ კანაბინოიდებზე შეიძლება გამოიწვიოს მოლეკულური პროცესების კატალიზაცია. მუდმივი ფუნქციური დეფიციტი ზრდასრულ ასაკში, დეფიციტი, რომელიც არ არის აღმოჩენილი ზრდასრული ექსპოზიციის შემდეგ [66].

უკანონო ნარკოტიკების მოხმარება (IDU) წარმოადენს უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემას ფინეთში. შეაფასეს ასოციაციები სოციალურ-დემოგრაფიულ, აკადემიურ, ჯანმრთელობისა და ცხოვრების სტილის მახასიათებლებს (დამოუკიდებელი ცვლადები) და აკრძალული ნარკოტიკების რეგულარულ, ეპიზოდურ არასდროს არ გამოყენებას (დამოკიდებული

ცვლადები) შორის. მონაცემები შეგროვდა ტურკუს (ფინეთი) უნივერსიტეტის შვიდი ფაკულტეტიდან (1177 სტუდენტი) ონლაინ კითხვარის გამოყენებით. შერჩევის დაახლოებით 1.5% იყენებდა აკრძალულ ნარკოტიკებს რეგულარულად, 19% იყენებდა პერიოდულად და 79% არასოდეს არ იყენებდა. აკრძალული ნარკოტიკების გამოყენების დამოუკიდებელი პროგნოზირებადი ფაქტორები იყვნენ მამაკაცი [(AOR) 1.82, P = 0.001], სტუდენტები, რომლებიც არ ცხოვრობდნენ მშობლებთან (AOR 2.59, P <0.001), მარტოხელები (AOR 0, 51, P <0.001), დაბალი რელიგიურობა (AOR 1.49, P = 0.022), ჯანმრთელობის მაღალი თვითშეფასება (AOR 0.41, P = 0.003), უფრო მაღალი ინფორმირებულობა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ (AOR 1.93, P = 0.014), დეპრესიის მძიმე სიმპტომები (AOR 1.82, P = 0.004), ყოველდღიური მწვევლები (AOR 3.69, P <0.001), ეპიზოდურად ძლიერი ალკოჰოლური სასმელების მიღება (AOR 2.38, P <0.001) და შესაძლო ალკოჰოლზე დამოკიდებულება (AOR 2.55, P <0.001). ყველა ამ პრეპარატის 20.5% იწვევდა შფოთვისას [32].

ქალი და მამაკაცი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შეფასებებით, ალკოჰოლის მოხმარების სიხშირით, სესიაზე მოხმარებული ალკოჰოლის რაოდენობით, სექსუალური პარტნიორების საერთო რაოდენობით, დღეში მიღებული საკვების მოცულობით. განსხვავებულია ფიზიკური დატვირთვა, ექიმთან ყოველწლიური შემოწმების სიხშირე, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სკრინინგი და ჰიპერტენზიის სკრინინგი. საერთოდ, მამაკაცებს ახასიათებთ უფრო მეტი სარისკო ქცევა, ვიდრე ქალებს [26].

Ruthig JC et al.-ის მიხედვით, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებები ჯანმრთელობის საწყისი სიმპტომების, სტრესის აღქმის, ვარჯიშის და კვების მიხედვით. წინა მიღწევებთან შედარებით, ალკოჰოლის მიღების მატებამ უარყოფითად იმოქმედა ქალი სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და წარმატების აღქმაზე; თამბაქოს მოხმარების ზრდამ უარყოფითად იმოქმედა მამრობითი სქესის სტუდენტების მოსწრებაზე. კოლეჯის სტუდენტი მამაკაცი და ქალები განსხვავდებიან იმით, თუ როგორ იცვლება მათი ჯანმრთელობა სასწავლო წლის განმავლობაში და ასევე იმით, თუ როგორ მოქმედებს ასეთი ცვლილებები მათ მომავალ აკადემიურ მოსწრებაზე [98].

წონის მატება და ჭარბი წონისა და სიმსუქნის სიხშირის ზრდა კოლეჯის სტუდენტებში სერიოზულ შემოფოტებას იწვევს. წონის მართვის ინტერვენციები კოლეჯის ასაკის მამაკაცებსა და ქალებში შეიძლება იყოს უფრო ეფექტური, თუ ისინი მორგებული იქნებიან სტუდენტების ქვეჯგუფებზე მსგავსი ქცევითი და ფსიქოსოციალური მახასიათებლებით, რაც დაკავშირებულია სხეულის წონის სტატუსთან. მამაკაცებისთვის, კვების კომპეტენციაში ცვალებადობა და შემეცნებითი შეზღუდვის ქულები ყველაზე მეტად ხელს უწყობდა განსხვავებას კლასტერებს შორის, ხოლო ქალებისთვის - ემოციური ჭამა და უკონტროლო კვების ქულები. ეს დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას შეტყობინებების და ინტერვენციების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, მათი მორგებით კოლეჯის სტუდენტების ქვეჯგუფებზე მსგავსი ქცევითი და ფსიქოსოციალური მახასიათებლებით, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის მომეტებულ რისკთან [46].

ცენტრალური მიჩიგანის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მდებარეობითი სქესის სტუდენტების 78% იყო ჯანსაღი წონის ფარგლებში, მამაკაც სტუდენტების 52%-თან შედარებით. ვისცერული ცხიმი და წელის გარშემოწერილობა უფრო მეტი იყო მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. სტუდენტების უმეტესობამ აჩვენა "დამაკმაყოფილებელი" დიეტური ჩვევები. სტუდენტების თითქმის ნახევარმა აღნიშნა, რომ სვამდა ორ ჭიქა რძეს და ორ ჭიქა ხილისა და ბოსტნეულის წვენს ყოველდღიურად. ფიზიკური აქტივობა და ცხოვრების წესის ქულა მიუთითებდა, რომ სტუდენტების უმეტესობა არ იყო ფიზიკურად აქტიური. სტუდენტების მხოლოდ 7%-მა აღნიშნა, რომ ჰქონდა ძალიან აქტიური ცხოვრების წესი, ხოლო 4%-ს ჰქონდა საკმაოდ კარგი ცოდნა ჯანსაღი კვების შესახებ. სტუდენტების უმრავლესობის, განსაკუთრებით ქალების წონა, იყო ნორმის ფარგლებში. სტუდენტების დიეტური ჩვევები დამაკმაყოფილებელი იყო. თუმცა, ფიზიკური აქტივობა, სტუდენტების ცოდნა ჯანსაღი და არაჯანსაღი კვების ჩვევების შესახებ საჭიროებდა გაუმჯობესებას [122].

სტუდენტების ნახევარზე ნაკლები აფასებს საკუთარ ჯანმრთელობას, როგორც „კარგს“ (46%); თითქმის იგივე რაოდენობა მიიჩნევს მას "დამაკმაყოფილებლად" - დროებითი დარღვევებით (42%), რუსეთის უნივერსიტეტების სტუდენტების 12% მიიჩნევს, რომ მათი ჯანმრთელობა "ცუდია". ამასთან, სტუდენტების ნახევარი არ არის

ჯანმრთელი: ისინი არიან სასაზღვრო მდგომარეობაში - სტუდენტების ჯანმრთელობის თვითშეფასება შეესაბამება რუსეთის უმეტეს რეგიონის საშუალო სამედიცინო მაჩვენებლებს. ფოკუს ჯგუფის დისკუსიების შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტების უმეტესობა არ ზღუდავს "ჯანმრთელობის" კონცეფციას ფიზიკურ კეთილდღეობამდე, მაგრამ ესმით ის, როგორც სომატური და ფსიქიკური მდგომარეობის კომპლექსი. "მე თავს სრულიად ჯანმრთელ ადამიანად ვთვლი, რადგან ჩემი ფიზიკური, გონებრივი და სულიერი კეთილდღეობა კარგ მდგომარეობაშია" /მნიშვნელოვანი ჯანმრთელობის შეფასებაზე გავლენის ფაქტორი არის სტუდენტების ოჯახების ცხოვრების დონე.საკუთარ ჯანმრთელობას „კარგად“, მიიჩნევსშემდგომი ოჯახებიდან გამოსული სტუდენტების 60% დადაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან გამოსულთა - 40% თუმცა, სტუდენტების წილი ცუდი ჯანმრთელობით თითქმის ერთნაირია ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ სეგმენტში: მდიდარ და ღარიბ ოჯახებს აქვთ ახალგაზრდათაობის ჯანმრთელობის საკუთარი რისკ-ფაქტორები - მაღალი ფიზიკური და ფსიქიკური სტრესი, სწავლის დროს შემცირება, სტუდენტობის წლებში სწავლისა და მუშაობის ერთობლიობა იწვევს დაავადებას თითქმის ყველა კლასის შემთხვევაში, განსაკუთრებით - იმუნიტეტის დაქვეითებას, ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს. ამ სიტუაციაში, ცოდნას ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ და ზომების მიღებას ჯანმრთელობის დარღვევების თავიდან ასაცილებლად, შეუძლია სტუდენტების ჯანმრთელობის შენარჩუნება [145].

სამედიცინო უნივერსიტეტის 1050 სტუდენტის ჯანმრთელობის შესწავლამ, აჩვენა, რომ პირველკურსელთა მხოლოდ 55.4%-მა და მეორე კურსის სტუდენტთა 59%-მა აღნიშნა ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის მნიშვნელობა. სტუდენტების ავადობის ანალიზმა მათგან ნახევარზე მეტი აღნიშნავდა გაციებით ხშირ დაავადებას (68.1% და 68.9% შესაბამისად). რინოსინუსიტის მწვავე მდგომარეობა იყო 6.2 ± 0.3 შემთხვევა პირველკურსელებში და 8.6 ± 0.5 შემთხვევა მაგისტრატურაში შესაბამისად. დადგინდა რესპონდენტთა მიერ ანტიბაქტერიული მედიკამენტების მიღების ადრეული დაწყება გაციების გამო. მაშინ როცა ყველა შემთხვევის მესამედში ეს განხორციელდა აფთიაქის თანამშრომლის რჩევით [113].

უნივერსიტეტის სტუდენტებში მაღალია თვითმკურნალობის გავრცელება [10, 12, 112], რაც წარმოადგენს ჯანმრთელობის პრობლემას, რომელიც საჭიროებს ჩარევას [80]. სქესი, სასწავლებლის ტიპი, თავის მოვლის ორიენტაცია და მედიკამენტების ცოდნა მნიშვნელოვანი პიროვნული ფაქტორებია, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეული ტიპის თერაპიული კლასების შერჩევასთან, რომლებიც გამოიყენება თვითმკურნალობაში [80, 100].

თვითმკურნალობა გავრცელებული პრაქტიკაა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. აღწერილი ჯვარედინი კვლევა ჩატარდა მანსურას უნივერსიტეტში, ეგვიპტეში და მოიცავდა როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო ფაკულტეტების 1-ლი და ბოლო კურსის სტუდენტებს. თვითმკურნალობის პრევალენტობა იყო 62.9%. ახალგაზრდა ასაკის, მდებარეობითი სქესის, სამედიცინო და ოდესმე დაქორწინებული სტუდენტები და ისინი, ვისაც სახლში აფთიაქები აქვთ, უფრო მეტად იყენებენ თვითმკურნალობას, ვიდრე თანატოლები. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტობა, ქალაქგარეთ ყოფნა, კარგი ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ჯანმრთელობაზე უყურადღებობა და სახლში წამლების მარაგის არსებობა დამოუკიდებლად იყო დაკავშირებული თვითმკურნალობის ალბათობასთან [50].

სამედიცინო სტუდენტების მიერ თვითმკურნალობა მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც თავიდან უნდა იქნას აცილებული და უნდა დაემატოს ბაკალავრიატის სტუდენტების სასწავლო გეგმას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ საფრთხეებისა და ნაკლოვანებების შესახებ [34].

მედიცინისა და ფარმაციის სტუდენტების 80%-ზე მეტი გამოკითხვამდე წინა 12 თვეში თვითმკურნალობდა. ეს თვითმკურნალობის პრაქტიკის სიხშირე შეესაბამება სერბეთის, ბელგრადის უნივერსიტეტის 1296 სამედიცინო სტუდენტის მაგალითზე ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლებიც მიუთითებენ დაახლოებით 80% თვითმკურნალობის პრევალენტობაზე [73]. ევროპის ოთხ ქვეყანაში ფარმაციის სტუდენტებს შორის ბოლოდროინდელმა მრავალეროვნულმა კვლევამ აჩვენა, რომ თვითმკურნალობის გავრცელების მაჩვენებელი იყო 69,6% ჩეხეთში, 71,5% იტალიაში, 85,9% რუმინეთში და 93,9% ესპანეთში [102].

აღნიშნავენ, რომ სტუდენტების ჯანმრთელობის დონე, მათ შორის უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა, საგანგაშოა. ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების მხრივ გადახრების მქონე სამედიცინო სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება [145].

გამოკითხულთა შორის „პრაქტიკულად ჯანმრთელი“ სტუდენტების რაოდენობამ შეადგინა 72%, 28%-ს ჰქონდა ქრონიკული დაავადებები ან ფუნქციური დარღვევები. ესენია: რესპირატორული დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, მეტაბოლური დაავადებები, ალერგიები [147].

საგანგაშოა დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სიმპტომების მაღალი გავრცელება უნივერსიტეტის სტუდენტებში [15].

დეპრესიის საერთო გავრცელება ჩინელ უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ნაჩვენებია იყო 28.4% ($n = 185,787$), 95% CI 25.7-დან 31.2%-მდე [38], ხოლო პაკისტანის უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის დეპრესიის სიმპტომების საერთო გავრცელება იყო 42,66% [59], დეპრესიის სიმპტომების საერთო გავრცელება უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში იყო 24.4% [8]

ესპანელ სტუდენტებში დაფიქსირდა დეპრესიის (18.4%), შფოთვის (23.6%) და სტრესის (34.5%) სიმპტომების ზომიერი გავრცელება [21], ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემური ქცევა, მოწევა, უძილობა და დაბალი თვითშეფასება დამოუკიდებლად იყო დაკავშირებული დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სიმპტომებთან. ქალთა სქესი, ოჯახთან ერთად ცხოვრება, ალკოჰოლის ხშირი მოხმარება და არასწორი კვების ჩვევები მნიშვნელოვნად ასოცირდება სტრესის სიმპტომებთან; სტაბილური პარტნიორის არ ყოლა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული დეპრესიის სიმპტომებთან; და ალკოჰოლის ხშირი მოხმარება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული შფოთვის სიმპტომებთან [91].

დეპრესია არის ფსიქიკური ჯანმრთელობის განმეორებადი პრობლემა უნივერსიტეტის სტუდენტებში. ისინი განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან სტრესის, დატვირთვისა და დამოუკიდებელი ცხოვრების გამო, მაღალიზიაში უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის კროსსექციურ კვლევაში მონაწილეობდა 1023 უნივერსიტეტის სტუდენტი (პასუხის მაჩვენებელი 90.4%). დეპრესია შეფასდა ეპიდემიოლოგიური კვლევების ცენტრის მოკლე დეპრესიის სკალის (CESD-10)

გამოყენებით. ბინარული ლოგისტიკური რეგრესია გამოიყენებოდა დეპრესიის პროგნოზირების დასადგენად სოციოდემოგრაფიული, ფიზიოლოგიური, ცხოვრების სტილისა და ჯანმრთელობის მახასიათებლების საფუძველზე. გამოკითხულთა დაახლოებით 30% განიცდიდა დეპრესიას, ხოლო ამ კატეგორიის 4.4% განიცდიდა მძიმე დეპრესიას. ეს კვლევა აჩვენებს, რომ დეპრესიის შემთხვევები იყო 2.52-ჯერ მეტი (95% CI: 1.71-3.71) მეორე კურსის სტუდენტებში პირველ კურსელებთან შედარებით და 1.63-ჯერ მაღალი (95% CI: 1.08-2.45) სტუდენტებში, რომლებიც ცხოვრობდნენ კამპუსს გარეთ იმ სტუდენტებთან, შედარებით. რომლებიც ცხოვრობენ კამპუსში. ღარიბი, არამყარი და საშუალო შეძლების ოჯახის სტუდენტებს ჰქონდათ 15.26 (95% CI: 2.77-84.88), 4.85 (95% CI: 1.01-23.34) და 5.62-ჯერ (95% CI: 1.16-27.25) დეპრესიის უფრო მაღალი შანსია, ვიდრე მდიდარი სტუდენტები, შესაბამისად. პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (PTSD) მქონე სტუდენტებს 1,42-ჯერ მეტი (95% CI: 1,07-2,56) ჰქონდათ დეპრესია. ეს კვლევა ასკვნის, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ სტუდენტების ფსიქიკურ ჯანმრთელობას, განსაკუთრებით მათ მეორე კურსზე, რომლებიც ცხოვრობენ კამპუსში, დაბალი ეკონომიკური წარმომავლობისგან, ძილის პრობლემებით ან განიცდიან PTSD [53].

ირანელ სტუდენტებში ფსიქიკური ჯანმრთელობის თვითშეფასების საშუალო და სტანდარტული გადახრა იყო $89,08 \pm 13,12$. ასევე სტუდენტების 14.7%-მა აღნიშნა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა ცუდი იყო, 70.3% საშუალოდ და 15% კარგი. სტუდენტების საშუალო ასაკი იყო $25 \pm 6,21$ წელი. ბრაზისა და ბრაზის დამღევს უნარის, დასვენებისა და აქტივობის დაბალანსების და შფოთვის დამღევს უნარის ზომების საშუალო ქულა იყო შესაბამისად 3.1 ± 0.08 , 3.13 ± 0.97 და 3.16 ± 1.1 . ასევე, მნიშვნელოვანი კავშირი იყო სქესსა და ჩილიმის მოხმარებას შორის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან ($P < 0.01$ და $P < 0.009$).

დეპრესია კოლეჯის სტუდენტებში მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მშობელთა დაბალი განათლების დონესთან. დეპრესიის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დაბალი ოჯახური ეკონომიკური მდგომარეობა, მამის ან დედის უმუშევრობა, ოჯახს ოჯახთან დაშორებით გატარებული ხანგრძლივი პერიოდი, ოჯახური კონფლიქტები, მშობლების მიერ გაკიცხვა და ცემა, მეგობრებთან

კონფლიქტი, დიდი სასწავლო დატვირთვა და სწავლის პროცესში წარუმატებლობა [125].

მონაცემები მიუთითებენ პირველადი და მეორადი პრევენციული ღონისძიებების აუცილებლობას ამ ჯგუფისთვის ადეკვატური და შესაბამისი დამხმარე სერვისების შემუშავებით [15].

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ექსპერტები პროგნოზირებენ გულ-სისხლძარღვთა ავადობისა და სიკვდილიანობის შემდგომ ზრდას როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ეს გამოწვეულია ცხოვრების წესის თავისებურებებით, რისკ-ფაქტორების დიდი რაოდენობით [151].

მხედველობის დაქვეითება არის საგნების დანახვის უნარის დაქვეითება, რაც გადამწყვეტი პრობლემაა ჯანდაცვის პროფესიონალებისა და სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც ნორმალური მხედველობა აუცილებელია მათი ყოველდღიური საქმიანობისთვის. თუ მისი დროული მართვა არ მოხდა, მხედველობის დაქვეითება იწვევს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს [41]. ახლომხედველობა, თვალის საერთო დაავადება, არის გლობალური ჯანმრთელობის ტვირთი, რომელიც იზრდება მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებში მიოპიის რისკ-ფაქტორები ფართოდ იქნა გამოკვლეული, უნივერსიტეტის სტუდენტების რისკ-ფაქტორები არ არის გამოკვლეული. მიოპიის გავრცელების და მასთან დაკავშირებული ფაქტორების გამოკვლევა ნანკინის უნივერსიტეტის სტუდენტებში აჩვენა, რომ სუბიექტები შეირჩა უნივერსიტეტის სტუდენტებიდან სტრატეგიცირებული შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად სულ 1200 უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო მოწვეული. თვითმოხსენებული კითხვარი გამოყენებული იქნა სტუდენტების დემოგრაფიული ინფორმაციის, მშობლების მიოპიის ისტორიის და ქცევითი ფაქტორების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად, როგორცაა ცუდი პოზა კითხვისა და წერისას, თვალის ვარჯიშების შესრულება, 30 წუთიანი უწყვეტი კითხვის შემდეგ შესვენების გაკეთება. კომპიუტერები ან სმარტფონები, ძილი, სამუშაო ახლოს და გარე აქტივობა. ჩატარდა ცალმხრივი ანალიზები მიოპიასა და სხვადასხვა პარამეტრებს შორის კავშირის დასადგენად. ფაქტორები, რომლებიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო

უნივარსიტეტულ ანალიზში, შეირჩა მულტივარიანტული ანალიზის კანდიდატ ვარიანტებად.

მიოპიის საერთო გავრცელება იყო 86.8%; 86.1% მამაკაცებში და 88.0% ქალებში ($\chi^2 = 0.68$, $P = .411$). მშობლის მიოპია, თვალის ვარჯიშების შესრულება, 30 წუთიანი უწყვეტი კითხვის შემდეგ შესვენება და გარე აქტივობების ჩართვა მინიმუმ 2 საათის განმავლობაში მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული მიოპიის ნაკლებ რისკთან ($P < .001$, $P = 0.034$, $P < 0.001$ და $P = 0.002$, შესაბამისად). მინიმუმ 1 მშობლის ყოლა ახლომხედველობით იყო მიოპიის რისკის ფაქტორი ($OR = 3.58$, 95% $CI = 1.96-6.54$); ხოლო 30 წუთიანი უწყვეტი კითხვის შემდეგ შესვენება და დღეში მინიმუმ 2 საათი გარე აქტივობა იყო დამცავი მიოპიისგან მულტივარიანტულ ანალიზში ($OR = 0.61$, 95% $CI = 0.41-0.93$; და $OR = 0.45$, 95% $CI = 0.2-0.99$; შესაბამისად) [96].

მიოპიის ეპიდემიოლოგიის, საბაზისო მეცნიერების ექსპერიმენტებისა და კლინიკური კვლევების შესახებ ლიტერატურის საფუძველზე, გამოვლინდა მიოპიის პრობლემის რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი. დაასკვნეს, რომ 1-12 კლასების მოსწავლეთა პოპულაციას აღენიშნებოდა მიოპიის მაღალი სიხშირე და პრობლემა სულ უფრო სერიოზული ხდებოდა. ეტიოლოგიურმა გამოკვლევებმა გამოავლინა გარემო ფაქტორების აგრესიული როლი. ხელმისაწვდომი იყო კლინიკური კორექციის მეთოდები, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობდა მრავალი გაურკვევლობა, რომელიც აფერხებდა მიოპიის პროგრესირების შემცირების ძალისხმევას. სტუდენტური მიოპია გახდა მთავარი საზრუნავი ჩინეთის მცდელობებში მიოპიის პრევენციისა და კონტროლისთვის. იმისათვის, რომ მივუდგეთ საკითხს საგანმანათლებლო გარემოში არსებულ პრობლემებთან გამკლავებით და მივიღოთ კონკრეტული ზომები სტუდენტური მიოპიის წარმოქმნისა და განვითარების თავიდან ასაცილებლად და კონტროლისთვის, მნიშვნელოვანია, რომ უკეთ გავიგოთ მრავალფაქტორული ზემოქმედება დაავადების დაწყებასა და განვითარებაზე. სტუდენტური მიოპია გამოწვეულია განათლებაზე მზარდი მოთხოვნით, რომელიც გამოწვეულია მაღალი სოციალური განვითარებით და საგანმანათლებლო გარემოში ტექნოლოგიური წინსვლით გამოწვეული სწრაფი ცვლილებებით. 1-12 კლასების მოსწავლეთა განვითარების ეტაპებზე თვალისა და მხედველობის თავისებურებების პერსპექტივიდან მიდგომით, და თითოეულ საფეხურზე სასწავლო დატვირთვა, ამ

ნაშრომმა რეტროსპექტულად მიმოიხილა ბოლო 90 წლის ისტორიული ლიტერატურა და მონაცემები კოჰორტის კვლევები ჩატარებული COVID-19-ის გავრცელებამდე და მის შემდეგ. საგანმანათლებლო გარემო იდენტიფიცირდა, როგორც პირველადი ფაქტორი, რომელიც იწვევს სტუდენტური მიოპიის დაწყებასა და პროგრესირებას [74].

შეისწავლეს მხედველობის დაქვეითების გავრცელება და მასთან დაკავშირებული ფაქტორები გონდარის უნივერსიტეტის სამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებათა სტუდენტებს შორის. ჯვარედინი კვლევა ჩატარდა 2020 წლის იანვრიდან მარტამდე სამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებათა სტუდენტებს შორის. კვლევის მონაწილეთა სისტემატური შემთხვევითი შერჩევის ტექნიკით დაკომპლექტების შემდეგ, გამოიყენეს წინასწარ შემოწმებული თვითადმინისტრირებადი კითხვარი სოციოდემოგრაფიული ცვლადებისთვის. მხედველობის სიმახვილის გაზომვა განხორციელდა 6 მეტრის მანძილზე განთავსებული სნელენის დიაგრამის გამოყენებით. მხედველობის სიმახვილე შემოწმებდა ცალ-ცალკე თითოეული თვალისთვის და ორივე თვალისთვის კარგად განათებულ ადგილას. Pinhole გამოყენებული იყო იმ მონაწილეებისთვის, რომელთა მხედველობის სიმახვილე იყო $< 6/9$. მონაწილეებს, რომლებსაც აქვთ მხედველობის სიმახვილე $< 6/12$ უკეთეს თვალში, დაუდგინდათ მხედველობის დაქვეითების დიაგნოზი. 654 სტუდენტს ჩაუტარდა მხედველობის სიმახვილის სკრინინგი. მხედველობის დაქვეითების პრევალენტობა იყო 12.5% (95% CI: 10.21, 15.31). 25 წელზე უფროსი ასაკი (AOR = 1.8; 95% CI: 1.02, 3.26) და ალკოჰოლის ამჟამინდელი მოხმარება (AOR = 2.9; 95% CI: 1.7, 5.00) იყო მხედველობის დაქვეითების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორები [41].

მხედველობის გაუარესება დაკავშირებულია მარიხუანას მოხმარებასთან.

ტვინისა და ბადურის ნეირონებს აქვთ საერთო ნეიროტრანსმისიის სისტემას და აქვთ მსგავსი ანატომიური და ფუნქციური თვისებები. ბადურის ფუნქცია, რომელიც შეფასებულია ელექტორეტინოგრამის (ERG) გამოყენებით, შეიძლება ასახავდეს ცენტრალურ ნეიროქიმიას. გაანალიზეს ბადურის ფონური ხმაური (ფონური ხმაური - დასვენების მდგომარეობაში ნერვული აქტივობა, სტიმულაციის არარსებობის შემთხვევაში) კანაფის და ალკოჰოლის რეგულარული მომხმარებელთა

პოპულაციაში. ფონური ხმაურის მატებამ შეიძლება ასახოს კანაფის ნეიროტოქსიკურობა, რომელიც გაძლიერებულია ალკოჰოლის მოხმარებით, ბადურის ნეირონების დინამიურზე. ბადურის სტიმულაციის შედეგად წარმოქმნილი რეაქციის ეს ნერვული დარღვევა შეიძლება გამოწვეული იყოს ნეიროტრანსმიტერის შეცვლილი გამოყოფით [72].

ჩატარდა კვლევა იმის შესამოწმებლად, იყო თუ არა დაკავშირებული კოლეჯის სტუდენტებს შორის ძილის ხანგრძლივობა და მხედველობის დაქვეითება. მონაწილეები: სტუდენტები ($n = 1002$, ასაკი 17-35 წელი) ლიბანიდან და არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან. მეთოდები: სტუდენტებს სთხოვეს კითხვარის შევსება 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის მაისამდე. კითხვები ეხებოდა სოციოდემოგრაფიულ მახასიათებლებს, ცხოვრების სტილის მახასიათებლებს, მხედველობის დაქვეითების სტატუსს, ძილის რეჟიმს, მობილური ტელეფონის გამოყენებას და ქრონიკულ პირობებს. შედეგები: რესპონდენტთა 18.3%-ს აღნიშნებოდა მხედველობის დაქვეითება. მათ შორის, 72.7% იყო ქალი ($p < .001$), 65%-მა აღიარა, რომ ხშირად იყენებდა მობილურ ტელეფონებს ძილის წინ ($p < .001$), 54.6% ეძინა 7 საათზე ნაკლები ($p = .008$). 71.6% აღნიშნავს. განიცდიან ძილის დარღვევას ($p = 0.05$). მხედველობის დაქვეითება ასოცირებული იყო ძილის ცუდ ხარისხთან ($p < 0.001$), ძილის წინ მობილური ტელეფონის გამოყენებასთან ($p < 0.01$) და ყოველდღიურ სტრესთან ($p < 0.05$) [42].

ჰიპოვიტამინოზი C მატების მხრივ მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს A და D ჰიპოვიტამინოზის შემდეგ. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ვიტამინი C მონაწილეობს ორგანიზმში ბევრ მნიშვნელოვან პროცესში, სტუდენტებისთვის მისი საკმარისი რაოდენობა ძალიან მნიშვნელოვანია სწავლის დროს მაღალი აქტივობის უზრუნველსაყოფად.

ბელორუსიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სტუდენტებს შორის ყველაზე გამოხატული დეფიციტი შეინიშნება B ჯგუფის ვიტამინების მიხედვით - გამოკვლეულთა 60,7%-ში და C ვიტამინის მიხედვით - გამოკვლეულთა 74%-ში. გამოვლენილი ჰიპოვიტამინოზი ამცირებს კანის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და ყელის ბარიერულ ფუნქციას, ამცირებს იმუნური სისტემის აქტივობას, აფერხებს

ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ დაცვას, ზრდის სეზონური დაავადებების განვითარებისადმი მიდრეკილებას. გარდა ამისა, D და E ვიტამინების მიწოდების უმნიშვნელო კლება დაფიქსირდა გამოკვლეულთა 13,3 და 24%-ში. ტესტის შედეგების მიხედვით, დადგინდა, რომ ჰიპოვიტამინოზი დამახასიათებელია რესპონდენტთა (74%)-ისათვის [150].

აღსანიშნავია D ვიტამინის დეფიციტის გავრცელება მზიან ქვეყნებში. როგორც ცნობილია, მზის ზემოქმედების სიმცირე დიდ გავლენას ახდენს D ვიტამინის დონეზე. საკმარისი რაოდენობით D ვიტამინის მიღებამ ბავშვობაში და მოზარდობაში შეიძლება თავიდან აიცილოს მომავალი დაავადებები. კვლევა ეძღვნებოდა საუდის არაბეთის უნივერსიტეტის სტუდენტების ცოდნის დონის შეფასებას D ვიტამინისა და D ვიტამინის დანამატების შესახებ, დაკავშირება მათ დამოკიდებულებასა და პრაქტიკასთან მზის ზემოქმედებისა და D ვიტამინის დანამატების მიმართ და შევადაროთ მამაკაცებსა და ქალებს შორის. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტების ცოდნის დონე იყო ზომიერი და დაბალი (საშუალოდ ექვივალენტური 40%), ხოლო ქალებს უკეთესი ცოდნა ჰქონდათ. ასევე, მათი პრაქტიკა არ არის საკმარისი D ვიტამინის ჯანსაღი დონის შესანარჩუნებლად, რადგან მხოლოდ 8.2% რჩება მზეზე ერთ საათზე მეტ ხანს სამუშაო დღეებში. სტუდენტების მხოლოდ 10.2% იღებს რეგულარულ D ვიტამინის დანამატებს, რომლებსაც უფრო მეტად იყენებენ ქალები. სტუდენტების 99,1% სამუშაოს დროს შენობაში რჩება. ამრიგად, D ვიტამინის შესახებ ცოდნა დაბალია უნივერსიტეტის სტუდენტებში, მაგრამ ოდნავ მაღალია ქალებსა და სამედიცინო სტუდენტებში. თითქმის ყველა მონაწილე მუშაობს შენობაში და მათი უმეტესობა გარეთ გასვლისას ატარებს ნიღაბს. რამდენიმე სტუდენტი იღებს რეგულარულად D ვიტამინის დანამატებს. ქალები აცნობიერებენ, რომ მათ აქვთ D ვიტამინის დეფიციტი და უფრო მეტად იღებენ დანამატებს, ვიდრე მამაკაცები [48].

D ჰიპოვიტამინოზის მაღალი გავრცელება არაერთხელ დაფიქსირდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. საუდის არაბეთში ახალგაზრდა ქალების D ვიტამინის სტატუსისა და მასთან დაკავშირებული D ჰიპოვიტამინოზის რისკ-ფაქტორების შესახებ მონაცემები მწირია, ამიტომ ამ კვლევამ შეაფასა D ჰიპოვიტამინოზის

გავრცელება და მისი რისკ-ფაქტორები, ჯანმრთელი ქალი უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ტაბუკში, საუდის არაბეთი.

ჯვარედინი კვლევის საშუალებით შეისწავლეს 19-დან 25 წლამდე ასაკის 180 ჯანმრთელი ქალი სტუდენტი. ინფორმაცია შეგროვდა მონაწილეთა სოციოდემოგრაფიის, ჯანმრთელობის, ცხოვრების წესის, დიეტის, ანთროპომეტრიისა და შრატის 25-ჰიდროქსივიტამინი D (25(OH)D)-ის შესახებ. ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი ჩატარდა D ჰიპოვიტამინოზის რისკის ფაქტორების შესაფასებლად. D ჰიპოვიტამინოზის პრევალენტობა (25(OH)D <30 ნგ/მლ) იყო 80.6%. D ჰიპოვიტამინოზის ძირითადი განმსაზღვრელი იყო: ქალაქური საცხოვრებელი (შანსების კოეფიციენტი [OR] = 6,54; 95%[CI], 2,74-5,63), მზის იშვიათიზემოქმედება (OR = 6,14; 95% CI, 2,15-17,55) და D ვიტამინის არასაკმარისი მიღება (OR = 2.50; 95% CI, 1.07-5.81).

ამრიგად, მიუხედავად მზიანი დღეების სიუხვისა, საუდის არაბეთი და ახლო აღმოსავლეთი D ვიტამინის დეფიციტის ეპიდემიის წინაშე დგანან. ამიტომ D ვიტამინის სტატუსი უნდა შეფასდეს ეროვნულ დონეზე, რათა შეიქმნას D ვიტამინის დონის ამაღლების სტრატეგიები [11, 13].

ზოგადად, A, B და C ჯგუფის ვიტამინების დეფიციტი ამცირებს ორგანიზმის წინააღმდეგობას პათოგენებისა და მავნე გარემო ფაქტორების მიმართ, ზრდის ზედა სასუნთქი გზების დაავადებების განვითარებას ახალგაზრდებში. A ვიტამინის დეფიციტი, რომელიც გამოვლინდა რესპონდენტთა თითქმის ნახევარში (48,7%), ამცირებს ლეიკოციტების და არასპეციფიკური იმუნიტეტის სხვა მახასიათებლების ფაგოციტურ აქტივობას [150].

ბავშვობაში აღერგიული დაავადებების მაღალი გავრცელების მიუხედავად, ასთმით დაავადებული ბავშვების მშობლებს/მზრუნველებს, დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს და უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ არაადეკვატური ცოდნის დონე ამ პაციენტების მონიტორინგისთვის [115].

პოლონელ სტუდენტებში ასთმა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს. ტრისის უნივერსიტეტის სტუდენტების შორის ასთმის დიაგნოზი დაუსვეს 138 სტუდენტს (9.6%), დამატებით 76 სტუდენტს (5.5%) აღენიშნებოდა ასთმის სიმპტომები; თუმცა, ამ

სტუდენტებს წინა დიაგნოზი არ ჰქონდათ. ასთმა უფრო ხშირად აღენიშნებოდა ცუდად მოვლილ სახლებში მცხოვრებ სტუდენტებს (19%) ($p = 0.06$), განსხვავებით ნორმალურ გარემოში მცხოვრებთაგან (10%). დიაგნოზირებული პაციენტების 81%-მა აღნიშნა, რომ მათი ასთმა კარგად იყო კონტროლირებადი [96].

ჩრდილოეთ ტაილანდის მთავარ ქალაქში. ნარესუანის უნივერსიტეტის ხუთას ცამეტმა წევრმა და სტუდენტებმა შეავსეს კითხვარის 2 კომპლექტი და გაიარეს კანის ალერგიის ტესტი. კითხვარების პირველი ნაკრები იყო ISAAC კითხვარის სტანდარტიზებული ტაილანდური ვერსია ასთმის, ალერგიული რინიტისა და ატოპიური ეგზემის იდენტიფიცირებისთვის. მეორე ნაკრები შეცვლილი იყო ISAAC II ფაზის კითხვარიდან ასთმის რისკის ფაქტორების დასადგენად. ორმოცდათვრამეტი სუბიექტი (11.6%) იყო იდენტიფიცირებული, როგორც ექიმის მიერ დიაგნოზირებული ასთმის მქონე, ხოლო სუბიექტს (17.7%) ჰქონდა ხიხინი ბოლო 12 თვის განმავლობაში. 89 სუბიექტს შორის, 14.4% ხიხინს თვეში ერთხელ აღენიშნებოდა, 45.6%-ს ჰქონდა ხიხინი, რომელიც ხელს უშლიდა ძილს. თანმხლები ალერგიული რინიტი, რინოკონიუნქტივიტი და ატოპიური ეგზემა ასთმის ამ სუბიექტებს შორის იყო შესაბამისად 82.5%, 67.9% და 14.9%. ასთმური სუბიექტების 87-9 პროცენტს ჰქონდა კანის დადებითი რეაქცია სულ მცირე ერთ ალერგენზე. ორი ყველაზე გავრცელებული ალერგენი იყო სახლის მტვრის ტკიპა და ტარაკნები. ორსულობის დროს დედის მოწევა, ოჯახის წევრებს შორის მოწევა და ალერგიის ოჯახური ისტორია იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რისკები ასთმის განვითარებისთვის, ხოლო საცხოვრებლის ირგვლივ ბრინჯის მინდვრის არსებობა წარმოადგენდა მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს [116].

შეერთებულ შტატებში დაახლოებით 19 მილიონი სტუდენტი სწავლობს კოლეჯში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზოგადად ჯანმრთელები არიან, ახალგაზრდების დაახლოებით 20%-ს აქვს სპეციალური სამედიცინო მოთხოვნილებები, მათ შორის ასთმა, შაქრიანი დიაბეტი და სწავლის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნივთიერებების მოხმარების დარღვევები. ექიმებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ახალგაზრდის გადასვლას ზრდასრულთა ჯანდაცვის მოდელზე სტრუქტურირებული პროცესების გამოყენებით ახალგაზრდების თვითმოვლისკენ ორიენტირებისთვის კოლეჯში შესვლამდე. მასტიმულირებელი მედიკამენტები

ეფექტურია ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიურობის აშლილობის მქონე სტუდენტების სამკურნალოდ, მაგრამ ექიმებმა უნდა აკონტროლონ წამლის გადამისამართების ნიშნები. სწავლის დარღვევები შეიძლება გამოვლინდეს ემოციური ან ფიზიკური სიმპტომებით და იმართება მულტიდისციპლინური გზით. ამ პოპულაციაში ხშირია დეპრესია, შფოთვა, ძილის პრობლემები, პოსტტრავმული სტრესი და კვების. ეფექტურია სიმსუქნის, დეპრესიის, შფოთვის, ძალადობის, ნიკოტინის მოხმარებისა და ნივთიერების მოხმარების სკრინინგი და/ან ჩარევები. გრიპის, ადამიანის პაპილომავირუსის, მენინგოკოკისა და ყვიანახველას იმუნიზაცია გადამწყვეტია მაღალი რისკის მქონე პოპულაციაში. ლესბოსელ, ბისექსუალ, გეი, ტრანსგენდერ და ქვიარ სტუდენტებს ჯანმრთელობის დაცვის უნიკალური საჭიროებები აქვთ [114].

13750 სტუდენტისა და უნივერსიტეტის 1428 პერსონალის მოსახლეობიდან სისტემატურად შეარჩიეს 2750 (20%) სტუდენტი და მთელი პერსონალი. მათ შორის სკრინინგის კითხვარი შეავსო 2372 სტუდენტმა და 455 პერსონალმა. რესპონდენტთა საშუალო ასაკი (SD) იყო 21.9 (3.2) და 46.1 (8.9) სტუდენტებისა და პერსონალისთვის და მათი უმრავლესობა იყო მამაკაცი; 58,6% და 65,9% შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების დაახლოებით 2.6%-ს (95% CI: 1.7-3.5) ჰქონდა ასთმის შეტევა წინა 12 თვეში, 14.5% (95% CI: 12.5-16.5) და 25.2% (95% CI: 22.8-27.7) დაფიქსირდა. ქოშინი და ღამის ხველა, შესაბამისად. პერსონალის მოსახლეობამ აღნიშნა ნაკლები სიმპტომები. "შესაძლო ასთმის" პროპორცია იყო 18.2% (95% CI: 16.0-20.4) სტუდენტებისთვის და 8.0% (95% CI: 5.4-10.7) პერსონალისთვის [35].

ბავშვთა ასთმის გავრცელება იზრდება მთელ მსოფლიოში, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა ტაილანდი. ტაილანდში ბავშვთა ასთმის შესახებ ეპიდემიოლოგიური მონაცემების ფართო ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ასთმის გავრცელება მოზრდილებში კარგად არ არის შესწავლილი ამ საზოგადოებაში. ამ კვლევის მიზნები იყო ასთმის, ალერგიული რინიტის და ეგზემის გავრცელების შესწავლა ბანგკოკის უნივერსიტეტის სტუდენტების შემთხვევით ჯგუფში ISAAC I ფაზის პროტოკოლიდან სტანდარტიზებული წერილობითი და ვიდეო კითხვარების გამოყენებით. ISAAC I ფაზის, წერილობითი და ვიდეო (საერთაშორისო ვერსია, AVQ 3.0) კითხვარები გადაეცა 3631 შემთხვევით შერჩეულ უნივერსიტეტის სტუდენტს

ბანგკოკის ექვსი უნივერსიტეტიდან. სუბიექტების ასაკობრივი დიაპაზონი იყო 16-31 წლამდე (საშუალო +/- SD= 19.1 +/- 1.7 წელი). იყო 1197 მამაკაცი და 2434 ქალი (თანაფარდობა = 1:2.03). მონაცემები შეყვანილი და გაანალიზებული იყო EpiInfo 4 პროგრამით. ხიხინის გავრცელება ბოლო 12 თვის განმავლობაში და დიაგნოსტირებული ასთმის სუბიექტების ამ ჯგუფში იყო 10.1% და 8.8%. ალერგიული რინიტის (ცხვირის თვალის სიმპტომებით გასული 12 თვის განმავლობაში) გავრცელება იყო 26.3%, ხოლო ეგზემის (გამონაყარი ატოპიური დერმატიტის ტიპურ ადგილებში, ბოლო 12 თვის განმავლობაში) იყო 9.4%. რინოკონიუნქტივიტის არსებობა, სქესი და ასაკი იყო ასთმის მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორები მამაკაცებში, ახალგაზრდა სუბიექტებში და რინოკონიუნქტივიტის მქონე პირებმა აღნიშნეს ასთმასთან დაკავშირებული უფრო ხშირი სიმპტომები ($P < 0.01$). როგორც წინა კვლევებში, რომლებმაც დაადგინეს ასთმის ზრდა ტაილანდურ ბავშვებში, ეს კვლევა მიუთითებს, რომ ასთმის გავრცელება ტაილანდის უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის გაიზარდა იმავე დონეზე, როგორც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. ბანგკოკში მცხოვრები მოზარდების დიდ რაოდენობას აწუხებს რინიტის სიმპტომები, რომელთა უმეტესობა ალბათ წარმოადგენს ალერგიული რინიტს [118].

საჭიროა განხორციელდეს საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას ასთმის მკურნალობისა და კონტროლის შესახებ [98].

მნიშვნელოვანია სტუდენტებში ენდოკრინული დაავადებების გავრცელება. 2007 წლიდან 2009 წლამდე პერიოდისთვის ტომსკის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს შორის აღინიშნა ენდოკრინული პათოლოგიის შემთხვევების ზრდა 23%-ით, ენდოკრინული სისტემის პირველადი ავადობა - 15,4%-ით. გამოკვლეულ სტუდენტებს შორის ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები დაფიქსირდა შემთხვევების 49,6%-ში: 40,3%-ს დაუდგინდა დიფუზური არატოქსიკური ჩიყვი, 20%-ს, აუტოიმუნური თირეოიდიტი, 18,6% - კვანძოვანი ჩიყვი, 8,1% - დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი. ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის სტრუქტურაში, ულტრაბერითი მონაცემებით, ჭარბობდა დიფუზური ცვლილებები (45%), კვანძოვანი წარმონაქმნები - 24%, დიფუზურ-ფოკალური ცვლილებები - შემთხვევათა 17%-ში.

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის ფორმირებაში წამყვანი რისკ-ფაქტორები იყო მუდმივი საცხოვრებელი ტომსკში, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის არსებობა დედის მხრიდან ქალ ნათესავებში, მოწევა.

ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტი დაფიქსირდა შემთხვევების 12.8%-ში, ძირითადად მამაკაცებში დიაბეტის გართულებების განვითარების რისკზე გავლენას ახდენდა HbA1c-ის დონე 7.0%-ზე მეტი. შემთხვევათა 6,8%-ში დიაგნოზირებულია ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზური სისტემის დაავადებები, უფრო ხშირად ქალებში და 19-22 წლის ასაკში [128].

სტუდენტთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ასევე სამედიცინო მომსახურების საკითხებზე მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლება უნდა მოხდეს არასამთავრობო და სამთავრობო, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით. საჭიროა სტუდენტთა ჯანმრთელობის პოლიტიკის გატარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე [4].

თავი 2

მასალა და მეთოდები

გამოკითხული იქნა 766 სტუდენტი საქართველოს უნივერსიტეტებიდან ჩატარდა ერთმომენტიანი განივი კვლევა ჩვენს მიერ შედგენილი ანკეტა-კითხვარის გამოყენებით, რომლის ვალიდურობა დადგენილია ჩვენს მირ ჩატარებულ კვლევებში - კრომბახის აღფას გამოყენებით.

შესწავლილ იქნა ფაქტორთა შემდეგი ჯგუფები: აკადემიური მოსწრება, დამატებითი მუშობა, სპორტული აქტიურობა, კვების ტიპი და რეჟიმი, ძილის ჰიგიენა, უნარჩვევები, ექიმთან მიმართვიანობა(ცხრილი 2.1). უნივერსიტეტები და სტუდენტები შეირჩა რანდომიზაციის საშუალებით.

ჩართვის კრიტერიუმები: საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტი, საქართველოს მოქალაქე. თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე.

გამორიცხვის კრიტერიუმები: ორსული ქალები, უარი კვლევაში ჩართვაზე.

მაღალი აკადემიური მოსწრების ჯგუფში გაერთიანდნენ სტუდენტები, რომელსა საშუალო ქულა შეადგენდა A ან B- ს , საშუალო დონე - C, D ან E-ს, ხოლო ცუდი - რომელთაც ერთ საგანში მაინც ჰქონიათ Fx ან F შეფასება. კვლევის დიზაინი შეთანხმებული იყო სდასუს ეთიკის კომიტეტთან, კითხვარს ახლდა ინფორმირებული თანხმობის ფურცელი, სტუდენტებს მიეწოდათ სრული ინფორმაცია კვლევის მიზნებისა და ამოცანების თაობაზე. მონაცემების შეგროვება მოხდა მხოლოდ კვლევის მიზნით. მონაცემები კოდირებულია ნუმერაციით და ინახება მკვლევართან და ხელმისაწვდომია მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის.

ინსტრუმენტები: კვლევის მთავარი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებად გამოვიყენეთ სტრუქტურირებული ინტერვიუ და თვითადმინისტრებადი კითხვარი (ცხრილი 2.1).

ცხრილი 2.1. თვითადმინისტრებადი კითხვარი

ფაქტორები	
სქესი ფიზიკური აქტიურობა	მდედრობითი
	მამრობითი
	პროფესიული
	სამოყვარულო
	ჰიპოდინამია
მავნე ნივთიერებების მიღება მუშაობა	მარიხუანა
	სხვა მძიმე ნარკოტიკები
	ალკოჰოლი
	თამბაქო
	დამატებითი ანაზღაურებადი მუშაობა,
	მუშაობა ანაზღაურების გარეშე
ძილის დარღვევები მეცადინეობა	ძილიანობა
	უძილობა
	წყვეტილი ძილი
	დილით
	დღის მანილზე
	ღამით
ცხოვრება ექიმთან მიმართვიანობა	ოჯახში მშობლებთან
	ნათესავებთან ან მეგობრებთან ერთად
	მარტო
	პროფილაქტიკური
	საჭიროების შემთხვევაში
	არა
კვების ტიპი და ხასიათი	უპირატესად ცხიმოვანი
	უპირატესად ცილოვანი
	უპირატესად ნახშირწყლოვანი

	სწრაფი კვება
	დაბალანსებული კვება
	ჭარბი საკვების მიღება
	ხილის და ბოსტნეულის მიღება
გადატანილი ოპერაციები	ჰერნიოპლასტიკა (თიაქარკვეთა)
	აპენდექტომია(ჭია ნაწლავზე ოპერაცია)
	ტრამვასთან დაკავშირებული ოპერაცია
	ტონზილექტომია
	რინოპლასტიკა
ტრამვები	სხვა
	გულმკერდის არეში
	მუცლის არეში
	ნაღრძობი
	მოტეხილობა
მხედველობის პრობლემები	მიოპია
	ასტიგმატიზმი
დაავადებები	ძვალ-სახსროვანი სისტემის თანდაყოლილი ანომალიები
	თიაქარი
	რესპირაციული დაავადებები წელიწადში 4-ზე მეტი
	ნერვული სისტემის დაავადებები
	ანემია
	ალერგია
	თირკმლის პათოლოგია
	კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები
	ჰიპერთირეოზი
	ჰიპოთირეოზი
	დიაბეტი
	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები

სტუდენტობის დროს გამოვლენილი დაავადებები	პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები
	ჰიპოვიტამინოზი
	დიაბეტი
	წონაში მკვეთრი მომატება
	წონაში მკვეთრი დაკლება
	კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები
	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები
	ნერვული სისტემის დარღვევები
	ავიტამინოზი
	ჰიპოთირეოზი
	ჰიპერთირეოზი
	A ჰეპატიტი
	სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები
	მხედველობის დაქვეითება
გამოცდებთან დაკავშირებული ჩივილები	თავის ტკივილი
	უძილობა
	უმაღლობა
	ზოგადი რეჟიმის დარღვევა
	დეპრესია
რეგიონი	თბილისი
	აჭარა
	იმერეთი
	გურია
	სამეგრელო
	კახეთი
	სამცხე-ჯავახეთი
	შიდა ქართლი
	ქვემო ქართლი
	რაჭა-ლეჩხუმი/ქვემოსვანეთი
	მცხეთა-მთიანეთი

ამ კითხვარის სრულფასოვანი გამოყენებისათვის საჭიროა მისი ვალიდაცია. ვალიდაცია არის კითხვარის ფსიქომეტრიული თვისებების შემოწმება.

კითხვარის ვალიდაციისათვის საპილოტე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 50-მა სტუდენტმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან.

კითხვარის ვალიდურობა დადგინდა კრონბახის ალფას გამოყენებით. კითხვარში მოცემული ფაქტორებს შორის უნდა იყოს საკმარისი თანხმობა, თუმცა ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს საკუთარი წვლილი კვლევაში. კითხვებს შორის თანხმობა სარწმუნოა, როდესაც კრომბახის $\alpha > 0.70$.

თუ თანხმობის კოეფიციენტი 1-ის ტოლია, თანხმობა მქსიმალურია, რაც ნიშნავს, რომ ფაქტორების წვლილი კვლევაში იდენტურია და ზოგიერთი მათგანი ზედმეტია. კითხვარი ვალიდურია, თუ α მიახლოებულია 0.70-თან.

სტატისტიკური ანალიზი


რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის განისაზღვრა საშუალო, საშუალო კვადრატული გადახრა; ხარისხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია სიხშირით და %-ით. ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ჯგუფებს შორის განსხვავებას ვითვლიდით ფიშერის ზუსტი კრიტერიუმის საშუალებით, კორელაციური ანალიზი ჩატარდა სპირმენის კორელაციების გამოყენებით, ავადობისა და ცუდი აკადემიური მოსწრების ფარდობითი შანსი დადგინდა მულტივარიაციული ბინარული ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზის საშუალებით.

სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა პროგრამების პაკეტის SPSS 23-ის გამოყენებით.

თავი 3

3.1. საკვლევი პოპულაციის დახასიათება

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საშუალო ასაკმა შეადგინა 20.7+2.4 წელი (17-35) ასაკობრივი განაწილება მოცემულია 3.1.1 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.1.

სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი სიხშირით შეგვხვდა 20 წლის ასაკი.


სტუდენტთა განაწილება სქესის მიხედვით მოცემულია 3.1.2 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.2

სქესის მიხედვით არასარწმუნოდ მეტი იყო ქალები.


სტუდენტთა განაწილება რეგიონების მიხედვით მოცემულია 3.1.3 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.3

რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი იყო თბილისელი სტუდენტები.


სტუდენტთა განაწილება აკადემიური მოსწრების მიხედვით მოცემულია 3.1.4 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.4

კარგ აკადემიურ მოსწრებას აღნიშნავს სტუდენტთა 44.2%, ცუდს - 9.8%.


სტუდენტთა განაწილება სპორტული აქტიურობის მიხედვით მოცემულია 3.1.5 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.5

სპორტს არ მისდევს გამოკითხულ სტუდენტთა 43%, პროფესიული სპორტით დაკავებულია 19%.


სტუდენტთა განაწილება მათზე ჩვევების მიხედვით მოცემულია 3.1.6 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.6

მავნე ჩვევებს შორის გამოირჩევა თამბაქოს მოხმარება - 33%, მარიხუანისა და სხვა ნარკოტიკების მოხმარებას აღნიშნავს შესაბამისად 3.8% და 2%.


სტუდენტთა განაწილება ოჯახის სოციალური მდგომარეობისა და ეკონომიკური სტატუსის მიხედვით მოცემულია 3.1.7 დიაგრამაზე.



დიაგრამა 3.1.7

მაღალშემოსავლიანი ოჯახებიდან არის სტუდენტთა 25%, სოციალურად დაუცველი - 6.8%.


სტუდენტთა განაწილება დასაქმების მიხედვით მოცემულია 3.1.8 დიაგრამაზე.



დიაგრამა 3.1.8

სტუდენტთა ნახევარი არ მუშაობს, ანაზღაურებად სამუშაოზეა სტუდენტთა 37%.


სტუდენტთა განაწილება ძილის დარღვევების მიხედვით მოცემულია 3.1.9 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.9

სტუდენტთა უმრავლესობას 77.5%-ს აღენიშნება ძილის ისეთი დარღვევები, როგორებიცაა ძილიანობა, უძილობა ან წყვეტილი ძილი.


სტუდენტთა განაწილება მეცადინეობის საათების მიხედვით მოცემულია 3.1.10 დიაგრამაზე.



დიაგრამა 3.1.10

სტუდენტთა უმრავლესობა - 51% მეცადინეობს ღამით, 34% - დღის მანძილზე, 15% - დილით.

სტუდენტთა განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოცემულია 3.1.11 დიაგრამაზე




დიაგრამა 3.1.11

მარტო ცხოვრობს სტუდენტთა 19%, ნათესავებთან ან მეგობრებთან ერთად - 16%, ხოლო ოჯახში მშობლებთან - 65%.


სტუდენტთა განაწილება ექიმთან მიმართვიანობის მიხედვით მოცემულია 3.1.12 დიაგრამაზე.

ექიმებს პროფილაქტიკის მიზნით მიმართავს 21%, თუმცა როგორც აღინიშნა, ამ ვიზიტების დიდი უმრავლესობა ეთმობა სტომატოლოგთან ვიზიტს. 68% - საჭიროების შემთხვევაში, ხოლო 11% - საერთოდ არ დადის ექიმთან.



დიაგრამა 3.1.12


სტუდენტთა განაწილება წონის მიხედვით მოცემულია 3.1.13 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.13

სტუდენტთა ნახევარი ნორმალური წონისაა, 31%-ს აღნიშნება სიგამხდრე, ხოლო 19%-ს - ჭარბი წონა.


სტუდენტთა განაწილება გადატანილი ოპერაციების მიხედვით მოცემულია 3.1.14 დიაგრამაზე.



დიაგრამა 3.1.14

გადატანილი ოპერაციებიდან აღსანიშნავია ტრამვასთან დაკავშირებული ოპერაციები, აპენდექტომია და რინოპლასტიკა.


სტუდენტთა განაწილება ავადობის მიხედვით მოცემულია 3.1.15 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.15

სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა რესპირაციული ინფექციები(17.5%), კუჭ-ნაწლავთა პათოლოგიები12.0%და ალერგია -17.0%. ასევე მაღალია მხედველობის დარღვევები - მიოპია - 11.6% და ასტიგმატიზმი - 10.6%.


სტუდენტთა განაწილება გამოცდებთან დაკავშირებული ჩივილების მიხედვით მიხედვით მოცემულია 3.1.16 დიაგრამაზე



დიაგრამა 3.1.16

გამოცდებთან დაკავშირებულ პრობლემებიდან აღსანიშნავია ზოგადი რეჟიმის დარღვევა(36%), უძილობა(29.4%), ნევროლოგიური დარღვევები(დეპრესია)(20%), უმაღობა (21.5%).

სტუდენტთა განაწილება სტუდენტობის დროს გამოვლენილი დაავადებების მიხედვით მოცემულია 3.1.17 დიაგრამაზე.



დიაგრამა 3.1.17

ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩეოდნენ კუჭ-ნაწლავის და გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები.

3.2. სტუდენტთა ავადობის შემსწავლელი კითხვარის ვალიდაცია

სამეცნიერო შრომების ანალიზი სტუდენტური ახალგაზრდობის პრობლემების შესახებ, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები ადასტურებს სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლის, მისი მონიტორინგისა და პროგნოზირების აუცილებლობას. ჩვენს მიერ შემუშავებულია კითხვარი, რომლის მიხედვითაც ჩატარდა ავადობის სტრუქტურისა და რისკის შესწავლას ქართველ სტუდენტთა პოპულაციაში. ვალიდაცია არის კითხვარის ფსიქომეტრიული თვისებების შემოწმება.

ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარის მიხედვით საპილოტე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 50-მა სტუდენტმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან.

კითხვარის ვალიდურობა დადგინდა კრონბახის ალფას გამოყენებით. კითხვარში მოცემული ფაქტორებს შორის უნდა იყოს საკმარისი თანხმობა, თუმცა ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს საკუთარი წვლილი კვლევაში. კითხვებს შორის თანხმობა სარწმუნოა, როდესაც კრომბახის $\alpha > 0.70$.

თუ თანხმობის კოეფიციენტი 1-ის ტოლია, თანხმობა მქსიმალურია, რაც ნიშნავს, რომ ფაქტორების წვლილი კვლევაში იდენტურია და ზოგიერთი მათგანი ზედმეტია. კითხვარი ვალიდურია, თუ α მიახლოებულია 0.70-თან

კვლევის მონაწილეთა საშუალო ასაკი შეადგენდა $20.7 \pm 2.5 (17-33)$ წელს.

გამოკითხულთა საბაზისო მონაცემები მოცემულია 1 ცხრილში.

ცხრილი 3.2.1. სტუდენტთა საბაზისო მონაცემები

ფაქტორები		კი		არა		p
		აბს	%	აბს	%	
სქესი	მდედრობითი	28	56	22	44	0.4799

სოციალური მდგომარეობა	სოციალურად დაუცველი	6	12	44	88	<0.000 1
	მაღალშემოსავლიანი	8	16	42	84	<0.000 1
დასაქმება	დამატებითი ანაზღაურებადი მუშობა	16	32	34	68	0.0153
	მუშაობა ანაზღაურების გარეშე	7	14	43	86	<0.000 1
საცხოვრებელი ადგილი	ოჯახში მშობლებთან	24	48	26	52	0.8877
	ნათესავებთან ან მეგობრებთან ერთად	36	72	14	28	0.0026
	მარტო	12	24	38	76	0.0003

გამოკითხულთა შორის არასარწმუნოდ პრევალირებს მდედრობითი სქესი, 56% დასაქმებულია, მათი უმრავლესობა - ანაზღაურებად სამუშაოზე.

სტუდენტთა თითქმის ნახევარი ცხოვრობს ოჯახში, მშობლებთან.

რესპოდენტები რეგიონების მიხედვით ასე განაწილდნენ (დიაგრამა 1.)

გამოკითხულთა უმრავლესობა - 48% თბილისელია, სხვა რეგიონების სიხშირე ვარირებს 2%-დან 4%-მდე.

კითხვარი და მისი ვალიდაცია მოცემულია 3.2.2 ცხრილში
ცხრილი 3.2.2

		სკალირები ს საშუალო	სკალირებ ის	კორექტირ ე-ბული	კრომბახ ის ალფა,
--	--	------------------------	----------------	--------------------	---------------------

		მნიშვნელო ბა, თუ ფაქტორს ამოვიღებთ	ვარიაცია თუ ფაქტორს ამოვიღებ თ	ელემენტე ბის კორელაცი ა	თუ ფაქტორ ს ამოვიღე ბთ
სქესი	მდედრობითი	15.48	37.23	0.12	0.698
აკადემიური მოსწრება	კარგი	15.66	37.49	0.08	0.700
	საშუალო	15.66	37.74	0.04	0.702
	ცუდი	15.98	37.86	0.11	0.698
სპორტი	პროფესიული	15.92	37.95	0.05	0.700
	სამოყვარულო	15.62	34.61	0.58	0.674
მავნე ჩევები	ჰიპოდინამია	15.74	37.71	0.06	0.701
	ალკოჰოლი	15.88	37.90	0.04	0.700
	თამბაქო	15.82	37.58	0.10	0.699
	მარიხუანა	16.00	38.33	-0.05	0.701
	სხვა მძიმე ნარკოტიკები	16.02	37.98	0.14	0.698
ოჯახის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა	მშობლები უმადლესი განათლებლით	15.38	36.32	0.29	0.689
	განქორწინებული მშობლები	15.96	38.20	-0.01	0.701
	არ ჰყავს ერთი მშობელი მაინც	15.94	37.45	0.19	0.695
	სოციალურად დაუცველი	15.96	38.20	-0.01	0.701
	მაღალშემოსავლია ნი	16.00	38.16	0.02	0.700

დასაქმება	დამატებითი ანაზღაურებადი მუშობა	15.72	36.41	0.28	0.690
ძილის რეჟიმი	მუშაობა ანაზღაურების გარეშე	15.90	37.72	0.09	0.698
	ძილიანობა	15.74	37.71	0.06	0.701
	უძილობა	15.76	37.66	0.07	0.700
	წყვეტილი ძილი	15.70	38.74	-0.12	0.709
მეცადინეობა	დილით	15.82	37.74	0.06	0.700
	დღის მანძილზე	15.76	37.17	0.16	0.696
	ღამით	15.66	38.60	-0.10	0.709
საცხოვრებელი ადგილი	ოჯახში მშობლებთან	15.64	38.28	-0.05	0.706
	ნათესავებთან ან მეგობრებთან ერთად	15.96	37.59	0.17	0.696
	მარტო	15.80	37.88	0.03	0.701
ექიმთან მიმართვიაობა	პროფილაქტიკური	15.76	37.00	0.19	0.695
	საჭიროების შემთხვევაში	15.46	38.25	-0.04	0.706
კვების ტიპი	უპირატესად ცხიმოვანი	15.98	38.06	0.04	0.699
	უპირატესად ცილოვანი	15.84	37.32	0.15	0.696
	უპირატესად ნახშირწყლოვანი	15.92	38.52	-0.10	0.704
	სწრაფი კვება	15.76	37.82	0.04	0.701

	დაბალანსებული კვება	15.70	37.48	0.09	0.699
	ჭარბი საკვების მიღება	16.00	38.20	0.00	0.700
წონა	ჭარბი წონა	15.86	38.41	-0.07	0.705
	სიგამხდრე	15.80	37.02	0.20	0.694
გადატანილი ოპერაციები	ჰერნიოპლასტიკა (თიაქარკვეთა)	15.96	37.30	0.26	0.694
	აპენდექტომია(ჭია ნაწლავზე ოპერაცია)	16.00	37.80	0.17	0.697
ტრამვები	ტრამვასთან დაკავშირებული ოპერაცია	15.90	38.01	0.03	0.701
	ტონზილექტომია	15.82	37.33	0.14	0.697
	რინოპლასტიკა	15.88	37.21	0.20	0.694
	სხვა	15.94	36.96	0.32	0.691
	გულმკერდის არეში	15.98	38.10	0.03	0.700
	მუცლის არეში	15.98	37.12	0.36	0.692
	ნადრძობი	15.88	37.45	0.14	0.697
	მოტეხილობა	15.82	38.11	-0.01	0.703
	მიოპია	15.88	38.19	-0.02	0.703
	ასტიგმატიზმი	16.02	38.14	0.05	0.699
მხედველობის პრობლემები დაავადებები	ძვალ-სახსროვანი სისტემის თანდაყოლილი ანომალიები	15.94	37.65	0.13	0.697
	თიაქარი	16.00	38.24	-0.02	0.700

რესპირაციული დაავადებები წელიწადში 4-ზე მეტე	15.64	35.42	0.44	0.682
ნერვული სისტემის დაავადებები	16.02	37.82	0.23	0.696
ანემია	15.96	38.53	-0.11	0.704
ალერგია	15.78	36.54	0.28	0.690
თირკმლის პათოლოგია	15.92	37.83	0.08	0.699
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები	15.88	37.29	0.18	0.695
ჰიპერთირეოზი	16.00	38.29	-0.03	0.701
ჰიპოთირეოზი	16.02	37.98	0.14	0.698
დიაბეტი	16.00	37.67	0.22	0.696
გულ- სისხლძარღვთა დაავადებები	16.02	37.98	0.14	0.698
პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები	16.02	38.10	0.07	0.699
ჰიპოვიტამინოზი	16.00	38.20	0.00	0.700
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები	16.02	38.47	-0.14	0.702
A ჰეპატიტი	16.00	38.16	0.02	0.700

	ფილტვის ქრონიკული დაავადება	16.02	38.35	-0.07	0.701
ავადობის სტრუქტურა ოჯახში	გულ- სისხლძარღვთა დაავადებები	15.76	37.53	0.09	0.699
	თირკმლის პათოლოგია	16.02	37.82	0.23	0.696
	დიაბეტი	15.78	37.73	0.06	0.700
	ჰიპოთირეოზი	15.98	37.41	0.27	0.694
	ჰიპერთირეოზი	15.98	38.14	0.01	0.700
	ფილტვის ქრონიკული დაავადება	15.94	37.36	0.21	0.695
	ნერვული სისტემის დაავადებები	15.90	37.72	0.09	0.698
გამოცდებთან დაკავშირებუ ლი ჩივილები	თავის ტკივილი	15.80	36.16	0.36	0.687
	უძილობა	15.88	36.76	0.30	0.691
	უმადობა	15.82	35.74	0.46	0.683
	ზოგადი რეჟიმის დარღვევა	15.64	35.42	0.44	0.682
	დეპრესია	15.96	37.06	0.33	0.692
	წონაში მკვეთრი მომატება	15.90	36.58	0.36	0.689
	წონაში მკვეთრი დაკლება	15.92	36.52	0.41	0.688
	კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები	15.90	37.52	0.14	0.697

	გულ- სისხლძარღვთა დაავადებები	15.96	38.61	-0.13	0.704
	ნერვული სისტემის დარღვევები	15.96	37.67	0.15	0.697
	შარდ-სასქესო სისტემის დარღვევები	15.96	38.00	0.05	0.699
	თმის ცვენა	16.00	38.20	0.00	0.700
	ჰიპოთირეოზი	16.00	38.12	0.03	0.699
	ჰიპერთირეოზი	16.00	38.12	0.03	0.699
რეგიონი	თბილისი	15.54	37.11	0.14	0.697
	აჭარა	16.02	38.06	0.09	0.698
	იმერეთი	15.98	37.61	0.20	0.696
	გურია	16.02	38.22	0.00	0.700
	სამეგრელო	15.98	37.61	0.20	0.696
	კახეთი	16.00	37.39	0.34	0.693
	სამცხე-ჯავახეთი	15.88	37.21	0.20	0.694
	შიდა ქართლი	15.96	36.69	0.44	0.688
	ქვემო ქართლი	15.96	37.14	0.31	0.692
	რაჭა- ლეჩხუმი/ქვემოსვ ანეთი	15.94	37.69	0.12	0.697
	მცხეთა-მთიანეთი	15.96	36.77	0.42	0.689
	ზემო სვანეთი	16.00	37.59	0.25	0.695

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ კითხვარში მოცემული ყველა შეკითხვა გასაგებია.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ კითხვარის მახასიათებლებს შორის არსებობს კარგი თანხმობა.

Cronbach's Alpha=0.70, სტანდარტიზებული Cronbach's Alpha=0.72

კითხვარიდან ამოვარდა ორი ფაქტორი, რომელთა ვარიაცია ნულის ტოლი იყო და რომლებიც ეხებოდა სტუდენტთა ავადობას - ფოკალური ინფექციის კერები და C ჰეპატიტი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფაქტორების კოვარიაციის მატრიცის განმსაზღვრელი ნულოვანია და მისი ინვერსიული მატრიცის საფუძველზე სტატისტიკის გამოთვლა შეუძლებელია, ამიტომ ისინი აისახებიან, როგორც სისტემის დაკარგული მნიშვნელობები.

სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა და ავადობის დონე პირდაპირ კავშირშია მათი პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების დაუფლების ეფექტურობასთან.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გავლენის შესწავლას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა წარმატებული საგანმანათლებლო სტრატეგიის ფორმირების პროცესების გააზრებაში. ამასთან, ეს ამოცანა შეუძლებელია, პროცესის გავლენის ყველა ფაქტორის კომპლექსური ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე.


ჩვენს მიერ შემუშავებული სტუდენტთა ავადობის კითხვარი ქართველი სტუდენტებისათვის მცირე შესწორებებით ვალიდურია.

3.3. სტუდენტთა ავადობის შეფასება სქესის მიხედვით ქართველ სტუდენტებში

სტუდენტთა ავადობის შეფასება სქესის მიხედვით ქართველ სტუდენტებში ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა და განათლება ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებია.

სტუდენტები მიეკუთვნებიან მაღალი რისკის ჯგუფს, რადგან თანამედროვე ცხოვრების პირობებში სტუდენტებზე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში გავლენას ახდენს მთელი რიგი გარემო ფაქტორებისა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მათი ფიზიკური, გონებრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.


სტუდენტთა განაწილება სქესისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით მოცემულია 3.3.1 დიაგრამაზე.



დიაგრამა 3.3.1

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ქალებს შორის მამაკაცებთან შედარებით სარწმუნოდ მაღალია კარგი აკადემიური მოსწრება ($F=41.79, p<0.0001$) და სარწმუნოდ დაბალია საშუალო და ცუდი აკადემიური მოსწრება - შესაბამისად $F=18.61, p<0.0001$ და $F=10.70, p=0.0011$).

ჯანმრთელობის თვითშეფასება მოცემულია 3.3.2 დიაგრამაზე.



დიაგრამა 3.3.2

როგორც ვხედავთ რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს კარგ და მალიან კარგ ჯანმრთელობას ამასთან ზოგადი ჯანმრთელობის აღქმის თვალსაზრისით სქესის მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნება.

სტუდენტთა ნაწილი აღნიშნავს სტუდენტობის დროს გამოვლენილ ახალ დაავადებებს რომელთა განაწილება სქესის მიხედვით მოცემულია 3.3.1 ცხრილში

ცხრილი 3.3.1. სტუდენტობის დროს გამოვლენილი დაავადებების განაწილება სქესის მიხედვით

ფაქტორები	კაცი(n=347)		ქალი(n=419)		F	P
	n	%	n	%		
რესპირაციული დაავადებები წელიწადში 4-ზე მეტი	34	9.80	100	23.87	26.87	<0.0001
დიაბეტი	9	2.59	6	1.43	1.33	0.2486
წონაში მკვეთრი მომატება	71	20.46	55	13.13	7.48	0.0064
წონაში მკვეთრი დაკლება	30	8.65	83	19.81	19.23	<0.0001
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები	47	13.54	52	12.41	0.22	0.6419
გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	20	5.76	19	4.53	0.59	0.4418
ნერვული სისტემის დარღვევები	53	15.27	53	12.65	1.10	0.2956
ავიტამინოზი	11	3.17	21	5.01	1.61	0.2052
ჰიპოთირეოზი	3	0.86	2	0.48	0.44	0.5083
ჰიპერთირეოზი	1	0.29	0	0.00	1.21	0.2721
A ჰეპატიტი	1	0.29	0	0.00	1.21	0.2721
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები	8	2.31	1	0.24	7.03	0.0082
მხედველობის დაქვეითება	7	2.02	15	3.58	1.66	0.1979

სტუდენტთა ნაწილი აღნიშნავს წონის მკვეთრ ცვლილებას სტუდენტობის პერიოდში, ამასთან ვაჟები აღნიშნავენ წონის მატებას ხოლო ქალები - კლებას.

დაავადებებს შორის ორივე ჯგუფში ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩეოდა კუჭ ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები, ნერვული სისტემის დარღვევები.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები სარწმუნოდ მეტი იყო მამაკაცებში, ქალებში აღინიშნა მხოლოდ ერთი შემთხვევა.

ჯანმრთელობის პრობლემებს სტუდენტთა ნაწილი უკავშირებს გამოცდებთან დაკავშირებულ სტრესს. გამოცდებთან დაკავშირებული ჩივილები მოცემულია 3.3.2 ცხრილში

ცხრილი 3.3.2.

გამოცდებთან დაკავშირებული ჩივილები

	კაცი(n=347)		ქალი(n=419)		F	P
	n	%	n	%		
თავის ტკივილი	57	16.43	96	22.91	5.01	0.0254
უძილობა	97	27.95	128	30.55	0.62	0.4331
უმაღობა	62	17.87	103	24.58	5.08	0.0244
მადის გაძლიერება	34	9.80	47	11.22	0.40	0.5256
ზოგადი რეჟიმის დარღვევა	130	37.46	153	36.52	0.07	0.7869
თმის ცვენა	2	0.58	1	0.24	0.55	0.4570
დეპრესია	9	2.59	15	3.58	0.12	0.7242

გამოცდების პერიოდში ზოგადი რეჟიმის დარღვევას აღნიშნავს გამოკითხულთა მესამედზე მეტი, ამასთან ამ ფაქტორის მიხედვით გენდერული განსხვავება არ დაფიქსირებულა, კაცებთან შედარებით თავის ტკივილისა და უმაღობის სარწმუნოდ მაღალი სიხშირე აღინიშნა ქალებში.

ჯანმრთელობის პრობლემები დაკავშირებულია ქცევის მახასიათებლებთან

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მახასიათებლების და ქცევის მიხედვით განაწილება მოცემულია ცხრილი 3.3.3-ში

ცხრილი 3.3.3. სტუდენტთა განაწილება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მახასიათებლების და ქცევის მიხედვით

ფაქტორები		კაცი(n=347)		ქალი(n=419)		F	P
		n	%	n	%		
სპორტი	პროფესიული	83	23.92	64	15.27	9.23	0.0025
	სამოყვარულო	140	40.35	149	35.56	1.85	0.1743
	ჰიპოდინამია	26	7.49	38	9.07	0.61	0.4332
მავნე	მარიხუანა	17	4.90	14	3.34	1.18	0.2767
ნივთიერებების მიღება	სხვა მძიმე ნარკოტიკები	9	2.59	4	0.95	3.06	0.0806
	ალკოჰოლი	50	14.41	27	6.44	13.52	0.0003
	თამბაქო	151	43.52	102	24.34	32.81	<0.0001
	დამატებითი ანაზღაურებადი მუშობა,	129	37.18	97	23.15	18.33	<0.0001
ძილის დარღვევები	მუშობა ანაზღაურების გარეშე	28	8.07	53	12.65	4.22	0.0402
	ძილიანობა	88	25.36	99	23.63	0.31	0.5790
	უძილობა	73	21.04	120	28.64	5.85	0.0158
	წყვეტილი ძილი	85	24.50	125	29.83	2.72	0.0995
მეცადინეობა	დილით	52	14.99	57	13.60	0.30	0.5864
	დღის მანძილზე	93	26.80	150	35.80	7.14	0.0077
	ღამით	174	50.14	203	48.45	0.22	0.6409

ცხოვრება	ოჯახში							<0.000
	მშობლებთან	198	57.06	301	71.84	26.26	1	
ექიმთან	ნათესაებთან ან მეგობრებთან ერთად	72	20.75	49	11.69	4.38		0.0367
	მარტო	76	21.90	68	16.23	3.60		0.0580
მიმართვიანობა	პროფილაქტიკური	58	16.71	92	21.96	3.32		0.0689
კვების ტიპი და ხასიათი	საჭიროების შემთხვევაში	247	71.18	289	68.97	0.44		0.5076
	არა	42	12.10	38	9.07	1.87		0.1721
კვების ტიპი და ხასიათი	უპირატესად ცხიმოვანი	70	20.17	40	9.55	17.79		<0.000 1
	უპირატესად ცილოვანი	67	19.31	79	18.85	0.03		0.8737
კვების ტიპი და ხასიათი	უპირატესად ნახშირწყლოვანი	57	16.43	88	21.00	2.59		0.1078
	სწრაფი კვება	103	29.68	152	36.28	3.72		0.0540
კვების ტიპი და ხასიათი	დაბალანსებული კვება	153	44.09	212	50.60	3.22		0.0729
	ჭარბი საკვების მიღება	26	7.49	24	5.73	0.97		0.3256
კვების ტიპი და ხასიათი	ხილის და ბოსტნეულის მიღება	294	84.73	358	85.44	0.01		0.9116

სპორტით დაკავებულია სტუდენტთა უმრავლესობა - 436(56.9%) სტუდენტი, პროფესიული სპორტით დაკავებულთა შორის სარწმუნოდ მეტია კაცები, მაშინ როდესაც სამოყვარულო სპორტის თვალსაზრისით სქესთა შორის სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნა. მავნე ჩვევებს შორის მაღალი სიხშირით გამოირჩევა

თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარება, რომელთა სიხშირე სარწმუნოდ მაღალია კაცებში. სტუდენტთა ნაწილი სწავლათან ერთად მუშაობს, ამასთან, ანაზღაურებად სამუშაოზე დაკავებულია სარწმუნოდ მეტი მამაკაცი, ვიდრე ქალი, ხოლო ანაზღაურების გარეშე კი პირიქით - მუშაობს უფრო მეტი ქალი, ვიდრე კაცი. უძილობას აღნიშნავს სარწმუნოდ მეტი ქალი, ვიდრე მამაკაცი, მაშინ როდესაც ძილიანობისა და არასაკმარისი ძილის თვალსაზრისით გენდერული სხვაობა არ არის. სტუდენტების თითქმის ნახევარი, მეცადინეობას ამჯობინებს ღამით, ხოლო მათ შორის, ვინც მეცადინეობს დღისით, სარწმუნოდ მეტია გოგონების რაოდენობა.

ექიმთან მიმართვიანობა ძირითადად დაკავშირებულია სამედიცინო დახმარების საჭიროებასთან, პროფილაქტიკური მიმართვა არასარწმუნოდ მეტია ქალებში. სტუდენტთა 10.4% საერთოდ არ მიმართავს ექიმს. ხილის და ბოსტნეულის ხშირი მიღება აღნიშნა ორივე სქესის უმრავლესობამ. უპირატესად ცხიმოვანი საკვების მიღებას აღნიშნავს სარწმუნოდ მეტი კაცი, დაბალანსებულ კვებას და სწრაფ კვებას - არასარწმუნოდ მეტი ქალი,

ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ოჯახში მშობლებთან ცხოვრობს სარწმუნოდ მეტი გოგონა, ვიდრე ვაჟი, ხოლო მეგობრებთან ნათესავებთან ან მარტო - სარწმუნოდ ბევრი ვაჟი.

ამრიგად, საქართველოს სტუდენტთა პოპულაციაში სქესის მიხედვით გამოიკვეთა განსხვავება აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით, რაც დაკავშირებულია ქცევით ფაქტორებთან და ადაპტაციურ თავისებურებებთან [1].

3.4. ჯანმრთელობისათვის სარისკო ქცევების კავშირი ავადობასა და აკადემიურ მოსწრებასთან

დაავადებათა უმეტესობა მჭიდრო კავშირშია ჯანმრთელობის რისკის შემცველ ქცევასთან, რომელიც იყოფა ექვს კატეგორიად: ქცევა, რომელიც ხელს უწყობს უნებლიე და განზრახ დაზიანებებს; თამბაქოს გამოყენება; ალკოჰოლის და სხვა ნარკოტიკების მოხმარება; სექსუალური ქცევები; არაჯანსაღი დიეტური ქცევები და ფიზიკური უმოქმედობა [76].

კვლევების უმეტესობა აღნიშნავს სტატისტიკურად სარწმუნო, დადებით კავშირს დიეტას, ქცევასა და აკადემიურ მოსწრებას შორის, რაც გვაძლევს საფუძველს, ევისწავლოთ ეს მახასიათებლები ქათულ პოპულაციაში.

3.4.1. ცხრილში მოცემულია კორელაციები ქართველ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასა და ქცევით ფაქტორებს შორის.

ცხრილი 3.4.1. კორელაციები ქართველ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასა და ქცევით ფაქტორებს შორის

ფაქტორთა ჯგუფები	ფაქტორები		აკადემიური მოსწრება		
			კარგი	საშუალო	ცუდი
სქესი	მდედრობითი	r	.228**	-.154**	-.118**
		p	0.000	0.000	0.001
წონა	ჭარბი წონა	r	-.078*	.074*	0.006
